# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიცოცხლეა, ცხოვრებით და ჭირებით ბუნების გადანა ყველა უკადრისობაზე უსამართლოა.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 აგვისტო, 2008 წელი.

№ 154 (6012)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.


## ერთად აღვადგინოთ დანგრეული!

### „ლიბო ჯგუფის“ მიმართვა

„ლიბო ჯგუფში“ გაერთიანებულ სამშენებლო ორგანიზაციებს გათავისებული აქვთ ბოლო დღეებში საქართველოში განვითარებული მოვლენების მძიმე შედეგები.

გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას აქტიური მონაწილეობა მივიღოთ დანგრეული ქართული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა-განახლებაში და შესაძლებლობის ფარგლებში თითქმის ყველა რეგიონში თითო ობიექტი აღვადგინოთ.

საამისოდ, რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად შევარჩევთ ამა თუ იმ კონკრეტულ ობიექტს, რომლის აღდგენაც კომპანიას ხელეწიფება.

დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად დავძლევთ ამ სიძნელეებს და ომით დანგრეულს მალე აღვადგენთ.

„ლიბო ჯგუფის“ დირექტორთა საბჭო

*P. S. მიმართვა დასაბეჭდად მზად იყო, როცა ჩეხეთის რესპუბლიკიდან ჩვენი პარტნიორი კომპანიების „ევროენის“ და „ალუმილის“ ხელმძღვანელმა ბატონმა პეტროს ძოვაირისმა გვაცნობა, რომ მზად არის საქართველოს აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად.*



7

რეზო ადამიას ნახატი

## რუსეთის აგრესიით დაბნელებული მზე

### ◉ ბარბაროსობა

## რუსმა ოკუპანტებმა შტურმით აიღეს გორის სატელევიზიო ანძა და მანქანაში ჩაცხრილეს მათი თანამშრომლები

რუსმა ოკუპანტებმა გუშინ შტურმით აიღეს გორის სატელევიზიო ანძა და მანქანაში ჩაცხრილეს მათი თანამშრომლები. ერთ-ერთი მათგანი ადგილზე გარდაიცვალა, სამი კი მძიმედ დაიჭრა, დაჭრილები გადმოყვანილები არიან თბილისში და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

გორის სატელევიზიო ანძაზე სხვადასხვა ტელე და რადიოკომპანიების გადამცემი აპარატურა იყო დამონტაჟებული. ყველა ეს გადამცემი განადგურებულია. მათთან ერთად დაზიანებულია „მაგთისა“ და „ჯეოსელის“, ასევე გაერთიანებული ტელეკომის სარელეო აპარატურაც. მათ აღდგენას ძალიან დიდი დრო, ენერგია და ფინანსები დასჭირდება.

შიდა ქართლის თითქმის ყველა რაიონის, ხაშურის, აგარის, ქარელის, იგოეთის, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა.

ჯი-ეიჩ-ენი

### მაყვალა გონაშვილი

### ◉ ლექსი-ჯარისკაცი

## სიტყვის საწოვარა

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო
და არც „ჯორჯია“.
ჩემი სამშობლო, ჩემი მიწა
ერთი გოჯია.
აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ გორგავს, ზღვა კი არა, ჩემი გულია...
და რახანია შეხსნილი მაქვს მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადამალულია დედამიწა – დაფა ჭადრაკის.
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი ნარდით ერთობა,
და პირდაფჩენილ ხალხის მასას, ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი“, „ხალხთა ერთობა“
„ადამიანთა უფლებები“, „დემოკრატია“,
სცენაზე ქორწილ ჩამომდგარა ათი პარტია,
მთავარ როლისთვის ლიდერები შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს გმირის მანტიას.
ტირის ქალწული, ქორწილამდე დაქვრივებული,
ბავშვებს აცვიათ მეორადი ტანზე ჭინჭები
და ვირტუალურ სამყაროში სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით.
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის.
ვდგავარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილისა და სიცოცხლეს შორის.
ღმერთო, შენ მიხსნი...
კიდევ?
ჩემი ძველი ფესვები.
მე რა გამტეხავს, სანამ ჩემი ზეცა მახურავს,
როგორ ვასმინო ეს სიმღერა ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას, გადაქცეულს ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა“.

16.08.08.

პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი: ნუ გავაუცხოებთ, სამუდამოდ ნუ გადავკიდებთ მომავალ თაობებს ერთმანეთს!



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის საოკუპაციო ჯარებისგან საქართველოს ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებას მოითხოვს. ამის შესახებ მან სპეციალურ მიმართვაში განაცხადა.**

— თქვენი ყოფნის გაგრძელება საქართველოში არის უაზრო, უთავბოლო. ყოველი დღე თქვენი აქ ყოფნისა კატასტროფული ზიანის მომტანია თქვენივე მომავლისთვის, — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის საოკუპაციო ჯარებს.

მისივე თქმით, საქართველო არ ჩამოიშლება, მთავრობა ადგილზეა, საქართველოს ჯარი არ განადგურებულა და არც განადგურდება.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ერთადერთი, რასაც რუსი სამხედროები აქეთ-იქით სიარულით, ძარცვით, ყაჩაღობით, ნგრევითა და აფეთქებით აღწევენ, თავიანთი ქვეყნისთვის მთელი მსოფლიოს გაუცხოვებაა.

— მოგიწოდებთ და მოვითხოვ, რომ რუსეთის ამ საოკუპაციო ჯარებმა დაუყოვნებლივ დატოვონ საქართველოს ტერიტორია, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველომ მოახერხა გაძლება, გადარჩენა და ჩვენ გადავრჩებით ახლაც!

— ბოლო დღეების განმავლობაში საქართველომ უმძიმეს გამოცდას გაუძლო და მთელი მსოფლიოს აღფრთოვანება გამოიწვია. ჩვენ დაგვესხნენ თავს, ამის მიზეზი არ ყოფილა ოსეთი და აფხაზეთი, თავდასხმის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბოლოს მოღება, ქართული თავისუფალი სულის განადგურება, საქართველოს მომავალის დასამარება", - განაცხადა პრეზიდენტმა.



მისივე თქმით, რუსული აგრესიისა და ოკუპაციის მთავარი მიზნები ჯერჯერობით არ არის მიღწეული.

— ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს დედაქალაქი არ დაცემულა, მთავრობა არსად არ გაქცეულა. საქართველომ მოახერხა გაძლება, გადარჩენა და გადარჩება ახლაც. მინდა ძალიან მოვიხარო და მადლობა ვუთხრა მთელს საზოგადოებას. თქვენმა წარმოუდგენელმა თავშეკავებამ მსოფლიოს მასშტაბით ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანი აღაფრთოვანა, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთს შემდგომ ურთიერთობებსა და მოლაპარაკებზე სერიოზული ფიქრის დაწყებისკენ მოუწოდებს.

— მას შემდეგ, რაც თქვენი ძალები დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, დავიწყოთ სერიოზული ფიქრი და განხილვები შემდგომი მოლაპარაკებების, შემდგომი ურთიერთობების გზების პოვნის, იმისთვის რომ სამუდამოდ არ გავაუცხოოთ ერთმანეთთან ჩვენი ქვეყნები, — განაცხადა პრეზიდენტმა მიმართვაში.

მისივე თქმით, ხალხს საკუთარ სახლებში დაბრუნებისა და ნორმალური ცხოვრების საშუალება უნდა მიეცეს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რუსული საოკუპაციო ჯარების საქართველოში ყოფნა, გარდა იმისა, რომ მათ პერსპექტივას ანგრევს, ვერაფერს აკლებს ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ აზარალებს უდანაშაულო, უბრალო ადამიანებს.

— ამ ადამიანებსა და მათ შთამომავლებზე დგას ჩვენი მომავალი ურთიერთობები. ნუ გავაუცხოებთ, ნუ გადავკიდებთ სამუდამოდ მომავალ თაობებს ერთმანეთს, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, დადგა დრო, რუსეთმაც მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. საქართველო არ გატყდება და არასოდეს იტყვის უარს თავისი მიწის ერთ გოჯზეც კი.

—საქართველო ყოველთვის გახსნილია იმისთვის, რომ რაც არ უნდა ყოფილიყო ჩვენ შორის, ყველა სადაო საკითხი, თუ ასეთი არსებობს, გადაიჭრას დიალოგის, მოლაპარაკებისა და ელემენტარული ცივილიზებული ურთიერთობების გზით, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ამის წინაპირობა საოკუპაციო ჯარების გასვლა და საქართველოსთვის ზიანის მიყენების შეჩერებაა.

* * *

— საქართველო ყველაფერს ბოლომდე აღადგენს და ქვეყანა აუცილებლად დადგება ფეხზე. ბოლომდე ავინაზღაურებთ, რაც დაგვაკლდა. რა თქმა უნდა, ვერაფერი აანაზღაურებს დაღუპული ადამიანის სიცოცხლეს, მაგრამ ყველაფერ დანარჩენს ავინაზღაურებთ", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველო ძალიან არყიეს, თუმცა, ვერ წააქციეს, ქვეყანა წელში აუცილებლად გაიმართება.

ინფორმაცია

## ბრიუსელში ჩვენს საკითხს იხილავენ

**ეუთოს თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე სტუბი ბრიუსელში საქართველოს საკითხს განიხილავს.**

როგორც ეუთოდან იტყობინებიან, სტუბი იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება, რომლებიც საქართველოში კრიზისული მდგომარეობის განმუხტვის პროცესში არიან ჩართული, მათ შორის ევროკავშირის, ნატოსა და გაეროს წარმომადგენლებს.

სტუბი გუშინ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს კარელ დე გუხტს შეხვდება. ბელგია გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანაა.

ალექსანდრე სტუბი დღეს აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს შეხვდება და ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. იგი ასევე შეხვდება ეუთოს ტროიკას — ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიგელ ანხელ მორატინოსს და საბერძნეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს დორა ბაკოიანისს.

## რუსეთი დასავლური ორიენტაციის გამო გვსჯის, მიაჩნიათ ოპოზიციურ პარტიებს

**ახალი მემარჯვენეები და რესპუბლიკური პარტია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს,ბუქარესტის სამიტის შემაჯამებელი დოკუმენტის დებულებაზე დაყრდნობით, მიმართავენ, მიიღონ გადაწყვეტილება ალიანსში საქართველოს დაჩქარებული წესით ინტეგრაციის თაობაზე.**

— მოგმართავთ საქართველოსთვის უმძიმეს დროს, როცა სუვერენული სახელმწიფოს დიდი ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის საჯარისო ნაწილების მიერ. დღეს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია სუვერენული საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხია. საქართველო, მიუხედავად უამრავი პრობლემის არსებობისა, იმსახურებს თავისუფლების და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას. ამ ძნელბედობის ჟამს ძალზედ ვაფასებთ იმ მტკიცე მხარდაჭერას, რომელსაც თქვენი ქვეყნები საქართველოს მიმართ იჩენენ. ჩვენ, საქართველოში მოქმედი ოპოზიციური პარტიების ლიდერები, ვართ ის ადამიანები, ვინც მკაცრად აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიის დეფიციტისთვის, — ნათქვამია მიმართვაში.

„რესპუბლიკელებსა" და „მემარჯვენეებს" მიაჩნიათ, რომ რუსეთი საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური კურსის და ზოგადად, დასავლური ორიენტაციის გამო სჯის.

— კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ თანადგომისთვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ კვლავაც აქტიურად დაუჭერთ მხარს ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, — ნათქვამია მიმართვაში.



## ბონში რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას აპროტესტებენ

**გერმანიაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა 17 აგვისტოს ქალაქ ბონში, მშვიდობის მოედანზე საპროტესტო აქცია მოაწყვეს და საქართველოს მიმართ კრემლის დამპყრობლური პოლიტიკა გააპროტესტეს.**

აქციაში 200-მდე ქართველი, გერმანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობდა.

აქტივისტების განცხადებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროპის მხარდაჭერა კრემლის ზეწოლისაგან გათავისუფლებაში. „რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის წლები: 1921; 1992; 2008"... „შეაჩერეთ რუსეთი-პუტინის იმპერიალისტური, დამპყრობლური პოლიტიკა"; „ევროპავ, გამოიღვიძე, ხვალ შეიძლება თავად გახდე მომდევნო მსხვერპლი", — ეს იყო საპროტესტო აქციაზე წარმოდგენილი ლოზუნგები.

## გორში ჟურნალისტებს არ უშვებენ

**რუსული საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლები გორში შესვლისთვის ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს კვლავ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აკრედიტაციას სთხოვენ.**

როგორც იგოეთიდან იუწყებიან, სოფელ ნაწრეტის იქეთ ჟურნალისტებს არ უშვებენ. რუსებმა ორი დღის წინაც გორში პირველ რიგში ის ჟურნალისტები შეუშვეს, რომლებსაც რუსეთის საგარეო უწყების აკრედიტაცია ჰქონდათ.

იგოეთსა და ნაწრეტში ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები დგანან. ამ ორ სოფელს შორის საოკუპაციო ჯარების სამი საგუშაგოა გახსნილი.

## თუ დანაღმული ხიდი აფეთქდა, მესტია იზოლაციაში მოექცევა

**ჭუბერისა და ხაიშის ხიდები ამ დროისთვის კვლავ დანაღმული რჩება.**

**როგორც ზუგდიდიდან იტყობინებიან, ამ დრომდე ვერ**



**ხერხდება განაღმვითი სამუშაოების ჩატარება, რადგან ტერიტორიას რუსები აკონტროლებენ.**

უკვე მეორე დღეა, დანაღმულია ხიდი, რომელიც დაბა ხაიშს მესტიასთან აკავშირებს. ხიდის აფეთქების შემთხვევაში მესტია სრულ იზოლაციაში მოექცევა.

რუსებმა დანაღმეს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში მდებარე ხიდი, რომელიც სვანეთის რეგიონს სამეგრელოსთან აკავშირებს.

## აღმოაჩინეს ქართველი ტყვეები

**ბრიტანული გაზეთი იტყობინება: ცხინვალში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებს, 130-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე ჰყავთ დაკავებული. გამოცემის ინფორმაციით, ყველა ტყვე ერთ ოთახშია მოთავსებული. ნახევარი მათგანი ქალებია, მათ შორის 12 წლის გოგონაც არის.**

ჟურნალისტის ვარაუდით, ტყვეების გაცვლას, ქართული მხარის მიერ დაკავებულ ოსებზე აპირებენ.

თითქმის ყველა ტყვე არის საქართველოს მოქალაქე. ყველა მათგანი ცხინვალის ქუჩებში დააკავეს. გამომცემლობა ახდენს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის ციტირებას, რომ მან იცის ტყვეების არსებობის შესახებ, მაგრამ ქართულ მხარეს არ ჰყავს ოსი ტყვეები, რომელთა გაცვლაც საქართველოს მოქალაქეებზე შეიძლება.

სამხრეთ ოსეთი კი ამტკიცებს, რომ ქართულმა სამხედროებმა 500-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები გაიტაცეს.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

თვალსაზრისი

# ნინო ბურჯანაძე: საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია არ შეიცვლება, მაგრამ დიდი შეცდომაა, გადარჩენა ვეძებოთ ნატოში, აშშ-ის, ან ევროპის მოქმედებაში



**საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ „დემოკრატიული განვითარების ფონდის“ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.**

**ნინო ბურჯანაძე:** პრინციპულია ის პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც აიღო საქართველომ, მაგრამ ამ ფონზედაც უნდა გამოიძებნოს გზა, როდესაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არც ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას დავთმობთ, არც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, არც იმ პოლიტიკურ ორიენტაციასა და გზას, რომელიც ავირჩიეთ, მაგრამ პარალელურ რეჟიმში, უნდა ვიფიქროთ, იმ საერთო ენის გამონახვაზე, რომელიც რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალურ ჭრილში გადატანის შესაძლებლობას მოგვცემს. არაერთხელ შევეცადე, ჩემი რუსი კოლეგებისთვის იმის ახსნას, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია არ ნიშნავდა რუსეთთან კონფრონტაციასა და საომარ მოქმედებას. ნატოს წევრ სახელმწიფოებს ნორმალური ურთიერთობი აქვს რუსეთთან, ანუ ნატოს წევრობა რუსეთთან კონფრონტაციულ რეჟიმში ყოფნას არ ნიშნავს. სამწუხაროდ, ეს ბევრი ფაქტორის გამო ვერ მოხერხდა. ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულია რუსეთის მცდელობა, გავლენა შეინარჩუნოს ყოფილ საბჭოთა სივრცეში, მაგრამ ასევე არაერთხელ მითქვამს, რომ გავლენის შენარჩუნება შესაძლებელია, ოღონდ ეს უნდა იყოს პოზიტიური გავლენა, ანუ კონფლიქტების დარეგულირებაში პოზიტიური როლის შესრულება, ნორმალური თანამშრომლობის აგება და ასე შემდეგ. იმედია, ეს რეალობაც დადგება.

**— ქ-ნო ნინო, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თქვენ როგორც „დემოკრატიული განვითარების ფონდის“ პრეზიდენტი, როგორ შეაფასებთ ამ დოკუმენტს და ხელისუფლებისთვის რა რეკომენდაციების მიცემას აპირებთ?**

— არსებობს გარკვეული კითხვის ნიშნები უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ესეც საერთაშორისო მექანიზმის შექმნის ფარგლებში იქნება ჩასმული. ბუნებრივია, იმედი მაქვს, რომ ამ მოლაპარაკებების დროს ძალიან ნათლად იყო ჩამოყალიბებული, თუ რას ნიშნავს ეს უსაფრთხოების გარანტიები, რამდენად შორს შეუძლია რუსეთს ამ პუნქტის მითითებით მოქმედება. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ დოკუმენტით ჩვენ უზარმაზარი სამუშაო გვაქვს მომავალში ჩასატარებელი, რათა მეტ-ნაკლებად გამოსწორდეს ის ზიანი, რომელიც საქართველოს მიადგა; მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად სწრაფად შეიქმნას საერთაშორისო მექანიზმები, რათა კონფლიქტის ზონაში ჩანაცვლებული იქნას სამშვიდობოები.

ჩვენ ახლა ისეთ ვითარებაში ვართ, მე პოზიტივზე ლაპარაკი მიჭირს, მაგრამ ამ ეტაპზე ცეცხლისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა იყო აბსოლუტურად აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. იმედი მაქვს, რომ დოკუმენტი მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება. მსოფლიოს ლიდერები იყვნენ ჩართულნი და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ადეკვატურად საქართველოს სამართლიან ინტერესებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მადლობელი ვარ, საერთაშორისო თანამეგობრობის.

**— ცეცხლი შეწყდა, რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან?**

— ის, რომ ცეცხლი შეწყდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება მართლაც სერიოზული მხარდაჭერა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. მხოლოდ ეს ერთობლიობა გახდის შესაძლებელს და რეალურს, რომ რუსეთმა უკან დაიხიოს და ჩვენ თანდათან დავიწყოთ სიტუაციის გამოსასწორებლად უკვე რეალურად მუშაობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ერთიანობა, რომელიც დღეს არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, შენარჩუნდეს. მინდა აღვნიშნო, რომ მართლაც უპრეცედენტო მხარდაჭერა იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, თუმცა, ბუნებრივია, ამ მხარდაჭერამ შედეგების გამოღება დაიწყო გვიან, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან პატარაა, მოვლენები კი ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა.



**— ამბობთ, რომ სწრაფად უნდა შეიქმნას საერთაშორისო მექანიზმები, რათა სამშვიდობოები ჩაანაცვლონ. რუსული მხარე აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობოების გარდა ვერავინ შევა...**

— რაც შეეხება იმ აზრს, რომელიც გაცხადდა ზოგიერთების მხრიდან, რომ რუსი სამშვიდობოების გარდა იქ ვერავინ შევა, ვფიქრობ, რომ ეს მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს ყველა შემთხვევაში. როცა საუბარია, რომ საგანგებო მექანიზმების შექმნამდე რუსებს იქ აქვთ განსაკუთრებული უფლებები (რამდენადაა ეს ჩვენთვის მისაღები, მეორე თემააძ, რეალობიდან უნდა გამოვიდეთ. სამწუხაროდ, რეალობის არაადეკვატურად შეფასება არის თავი და თავი ყველა პრობლემის, რომელიც იქმნება ხოლმე შემდეგ. ამიტომ, რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და დავიწყოთ მუშაობა იმ მექანიზმებზე, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ, სწორედ ნეიტრალურმა ძალებმა ჩაანაცვლოს რუსი სამშვიდობოები, როგორც აფხაზეთში, ისე ოსეთში, თუმცა არ ვიცი, ეს რამდენად ახლო პერსპექტივაში მოხერხდება. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ამაზე ახლა საუბარი მიჭირს.

**— როგორ ფიქრობთ, დსთ-დან გამოსვლით, სწორი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ? უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთის მხრიდან ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას, თუ გავითვალისწინებთ, რომ დიმიტრი მედვედევმა ახსენა კოსოვოს პრეცედენტი?**

— ვერ წარმომიდგენია ამაზე მეტი პრობლემა რაღა უნდა შეიქმნას რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. მე მაინც მგონია, რომ თავად რუსეთისთვისაც, კოსოვოს პრეცედენტი ძალიან საშიშია. მინდა, იმედი ვიქონიო, რომ როდესაც ეს გამწვავებული ვითარება გადაივლის, მაინც რაციონალური გადაწყვეტილებები წამოიწევს წინა პლანზე. კოსოვოს მექანიზმის გამოყენება და აფხაზეთის და სამაჩაბლოს — სამხრეთ ოსეთის აღიარების ფაქტორი თავად რუსეთისთვისაც ძალიან უარყოფითია. არა მგონია, რომ რუსეთში არ ესმოდეთ ზოგადად ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესმა რა შეიძლება გამოიწვიოს დღეს თუ არა ხვალ თავად რუსეთის ტერიტორიაზე. ყოველ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, ეს ნამდვილად წაახალისებს ძალიან არაჯანსაღ ძალებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, დსთ-დან გასვლა ეს არ არის ის თემა, რომელმაც ახლა შეიძლება რუსულ-ქართულ ურთიერთობის პროცესს რამე დიდად მოაკლოს ან მოუმატოს. სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა ისეთ ზღვარზე მივიდა, რომლის იქეთაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია ურთიერთობების დაძაბვა. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ძალისხმევით დავიწყოთ სამშვიდობო პროცესი, სამშვიდობო მოლაპარაკებები, იმისათვის, რომ სიტუაცია გახდეს სტაბილური და მეტ-ნაკლებად იყოს ისეთი, რომლის წინასწარ განჭვრეტა და პროგნოზირება შესაძლებელი იქნება.

**— რუსეთში ელოდებიან, რომ ოპოზიცია მალე მოითხოვს ხელისუფლების პასუხისმგებლობის დაყენებას და როგორი იქნება თქვენი პოზიცია, შეუერთდებით ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს თუ ხელისუფლების დაუჭერთ მხარს კრიზისის ფონზე?**

— დავუჭერ თუ არა მხარს ქვეყანას კრიზისიდან გამოსვლაში, ბუნებრივია, გავაკეთებ ყველაფერს, რათა წვლილი შევიტანო ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლაში. რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლების განცხადებებს და მოლოდინს, მე ასევე ვთქვი ჩემს განცხადებაში, რომ ახლა, ისე, როგორც არასდროს უმნიშვნელოვანესია ერთიანობა. ხაზგასმით აღვნიშნე, რომ კატეგორიულად მიუღებელია ხელისუფლების ცვლილებაზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ქვეყანაში რუსეთის ტანკებია და მეზობელი სახელმწიფო ითხოვს ხელისუფლების ცვლილებას. არავის გადასაწყვეტი არ არის სუვერენულ სახელმწიფოში ვინ იქნება ხელისუფლებაში, ვინ იქნება პრეზიდენტი, როგორი მთავრობა და როგორი პარლამენტი ეყოლება ქვეყანას. ეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია. მე ვთვლი, რომ ის ერთიანობა, რომელიც პოლიტიკურმა სპექტრმა დააფიქსირა, ნამდვილად სწორი და მისასალმებელია ამ ეტაპზე.

რაც შეეხება შემდგომ ეტაპებს, მე ნამდვილად არ მინდა რაიმეზე წინასწარ ვისაუბრო. ომის შემდგომი პერიოდი მარტივი არ იქნება. იმიტომ რომ, რა თქმა უნდა, ლეგიტიმურად დაისმება სერიოზული შეკითხვები - როგორ დაიწყო, რა მოხდა, რატომ მოხდა, რომ ეს ომი დასრულდა ისე, როგორც დასრულდა. ეს კითხვები ბუნებრივია დაისმება და მეც, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ამ კითხვის დასმის უფლება მაქვს. უფლება მაქვს ისევე, როგორც ყველა დედას საქართველოში, რომ მოვითხოვო ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხი.

**— არსებული კრიზისი ფონზე არ ჩანდით, არსებობდა მოლოდინი, რომ თქვენ აქტიურად ჩაერთვებოდით..**

— მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მაქსიმალურს ვაკეთებდი, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში. მე და ჩემი თანამოაზრეები, პრაქტიკულად მთელი ამ 10 დღის განმავლობაში ვმუშაობდი 24-საათიან რეჟიმში, გავაგზავნე უამრავი წერილი და უამრავი ინფორმაცია, ყველა იმ ადამიანთან, ვისთანაც 14 წლის განმავლობაში მქონდა პოლიტიკურ არენაზე ურთიერთობა. მქონდა უამრავი სატელეფონო საუბარი. ბევრი პოლიტიკოსი თავად რეკავდა, ბევრს თავად ჩვენ ვუკავშირდებოდით. გვქონდა არა ერთი ინტერვიუ, სადაც გამოვხატე ჩემი პოზიცია, რათა მსოფლიომდე მიმეწვდინა ხმა ჩვენს ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ქართველ მოსახლეობას ჩემი ხმა სათანადოდ ვერ მივაწვდინე. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში იბეჭდებოდა ჩემი ინტერვიუებიც და მიმართვებიც, პრაქტიკულად არც ერთხელ არ მოხერხდა ტელევიზიით ამ განცხადებების გადაცემა. ნამდვილად მაწუხებს ის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ფონდში რეკავს და კითხულობს, სად არის ბურჯანაძე, რატომ არ ჩანს ბურჯანაძეო? ახლა შეიძლება ამ თემის გარჩევის დრო არ არის, მაგრამ მე ნამდვილად მინდა ჩემმა ხალხმა იცოდეს, რომ ვარ აქ, თბილისში, არც ერთი წუთით არ შემიწყვეტია 24-საათიანი მუშაობა, იმისათვის, რომ რაღაც გამეკეთებინა ჩემი ქვეყნის დასახმარებლად.

**— საქართველომ მიიღო უპრეცედენტო მხარდაჭერა მსოფლიოსაგან, რით ახსნით ამას?**

— ახლა საუბარია არა არის მხოლოდ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. ეს არ არის მარტო საქართველოსთან დაკავშირებული ვითარება. ეს არის ის, რასაც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამკვიდრება ჰქვია, ანუ გაიმარჯვებს სიმართლის ძალა, თუ გაიმარჯვებს უბრალოდ ძალა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია დასრულდეს ეს ომი და დასრულდეს სამართლიანად, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად. აქ რეალურად წყდება უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის, იგივე ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხები, როგორიც არის რეალურად დემოკრატიული ფასეულებების საკითხები, როგორიც არის საკითხი — შეიძლება თუ არა მომავალში დიდ სახელმწიფოს პატარა სახელმწიფოს დასჯა. აი, ეს არის ის, რის გამოც ამდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენები. მართლაც უპრეცედენტო იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეაქცია და ის შემდგომი ნაბიჯებიც, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებულ მოვლენებს ახლდა თან.

**— არსებული კრიზისის ფონზე, რამდენად აუცილებელია საქართველო გახდეს ნატოს წევრი. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ეს არის სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთი გზა?**

— მე არ ვიტყოდი ნამდვილად, რომ სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთი შანსი არის ნატოში გაწევრიანება. ეს უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა. როგორც ახლა ჩანს, ნატომდე გარკვეული დრო კიდევ დაგვჭირდება, მაგრამ ერთი რამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ორიენტაცია არ შეიცვლება. საქართველოსთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია დასავლური ფასეულობები. ეს ქვეყნისა და მოსახლეობის არჩევანია, მაგრამ გადარჩენის გზა არის ჩვენში. ყველაზე დიდი შეცდომაა გადარჩენა ვეძებოთ ან ნატოში ან ამერიკის შეერთებულ შტატების ან ევროპის მოქმედებაში. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია მათი მხარდაჭერა და გვერდში დგომა, მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ რაციონალური პოლიტიკა, ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან გონივრულები, უნდა გვესმოდეს რა ჭირდება ქვეყანას და რა ნაბიჯებია გადასადგმელი ქვეყნისათვის. ჩვენ უნდა დავსახოთ ახალი პოლიტიკა იმისათვის, რომ ქვეყანა ამ კრიზისიდან გამოვიდეს და სწორი გზით წავიდეს. ამაში ყველაფერში დაგვეხმარება ნატოც, დასავლეთიც და ძალიან ბევრი ჩვენი სხვა მეგობარი. იმედია, მიუხედავად ძალიან დიდი სირთულეებისა, უზარმაზარი ტრაგედიისა და ტრამვისა, რომელიც ჩვენ ახლა რუსეთმა მოგვაყენა, შევძლებთ რუსეთთან ურთიეთობის რაციონაურ ჭრილში გადაყვანას. ეს აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ მომავალში ჩვენ დღევანდელის მსგავსი ტრაგედიები თავიდან ავიცილოთ.

**ესაუბრა**
**თემურ ჭუმბურიძე**

◉ კომპეტენტური აზრი



*სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან სულ მცირე დროში ქართულმა არმიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, თუმცა მეორე დღეს, როცა რუსულმა ავიაციამ კონფლიქტის ზონაში ინტენსიური დაბომბვები დაიწყო, ვითარება რადიკალურად შეიცვალა — ქართული ჯარი ფაქტობრივად დეზორგანიზებული აღმოჩნდა. გასაგებია, რომ მტრის ძალა, როგორც რიცხობრივი, ისე ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, მინიმუმ ათჯერ უფრო მეტი სამხედრო პოტენციალს ფლობდა, მაგრამ მაინც იბადება კითხვა: ჩვენი წარუმატებლობა, გარკვეულწილად გენშტაბის შეცდომებმაც ხომ არ განაპირობა? რამდენად სწორად იყო წინასწარ გათვლილი, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა საომარი მოქმედებების დაწყებას? სწორედ ამ და სხვა საკითხებზე ექსპერტ სოსო ცინცაძეს გავესაუბრეთ.*

# ყოველი წაგებული ომი ხელისუფლების რეიტინგს მკვეთრად ამცირებს

**— ბატონო სოსო, როგორც კი საომარ მოქმედებებში რუსული ავიაცია ჩაერთო, აღმოჩნდა, რომ ჩვენი ჯარი ფაქტობრივად პარალიზებული იყო. თქვენ როგორ ახსნით ამას? ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენი სამხედრო მეთაურებისთვის მოულოდნელი იყო რუსული ავიაციის ასე ღიად შემოჭრა?**

— მოულოდნელი იყო არა მარტო სამხედრო მეთაურებისთვის და გენშტაბისთვის, პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვისაც. ალბათ გახსოვთ, რა განცხადებებს აკეთებდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე — ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რას წარმოადგენდა რუსეთი, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგინა, ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი რამ თუ მოხდებოდაო. მაპატიეთ, მაგრამ უნდა ვთქვა, ასეთი განცხადებებით მხოლოდ ჩვენს გულუბრყვილობასა და უგუნურობას ვამტკიცებთ. რუსეთი ყველაფერზე წამსვლელია, ხელს რა უშლის?! მით უმეტეს, როცა საქმე საქართველოსნაირ პატარა ქვეყანასთან დაპირისპირებას ეხება. ზოგი იტყვის, საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი უნდა გვქონდესო. კი ბატონო, მაგრამ სხვისი „ზურგის“ იმედით ხომ არ გადავიმტერებთ ამხელა, უზარმაზარ იმპერიას?! მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი ხელისუფლება არ ელოდა, რომ რუსეთი ღია აგრესიაზე წავიდოდა და ეს იყო უდიდესი შეცდომა.

რაც შეეხება ჩვენი გენშტაბის წარმომადგენლებს, მათთვისაც მოულოდნელი და შოკის მომგვრელი იყო რუსეთის ქმედებები. გეგმა ალბათ ასეთი ჰქონდათ: შეიჭრებოდნენ ცხინვალში, დაიკავებდნენ ყველა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს, გადაკეტავდნენ როკის გვირაბს და ყველაფერი მორჩებოდა, თუმცა არა მგონია ვინმეს იმის ილუზია ჰქონოდა, რომ რუსეთი გულხელდაკრეფილი დააკვირდებოდა ამ ყველაფერს. უბრალოდ მოულოდნელი იყო ის, რომ ღიად, მასირებულად შემოიჭრებოდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენმა ჯარისკაცებმა გმირულად იბრძოლეს — მათ დაამტკიცეს, რომ ქართული ჯარი არა თუ იქმნება, უკვე შექმნილია და საკმაოდ ბრძოლისუნარიანიც არის. ეს უკვე სერიოზული მიღწევაა.

მე მითხრეს, რომ ბოლო წუთამდე, სანამ ჩვენი ბიჭები უკან დახევის ბრძანებას მიიღებდნენ, თავდაუზოგავად იბრძოდა თავად მამუკა ყურაშვილიც. როცა ის დაიჭრა, ჯარიც მაშინ აირია თურმე...

არ მინდა ვინმე გავანაწყენო, მაგრამ უნდა ვთქვა: უამრავი შეცდომა დაუშვა ჩვენმა გენშტაბმა, თუნდაც სამხედრო სტრატეგიის შემუშავების დროს. დღეს სამხედრო ექსპერტები ხშირად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ საქართველოს ცა ფაქტობრივად დაუცველია, რომ ჩვენი საზენიტო დანადგარები პრაქტიკულად უძლური აღმოჩნდნენ რუსული ბომბდამშენების წინააღმდეგ. კარგია, რომ ამას ვაღიარებთ, მაგრამ რატომ თავის დროზე არ იზრუნეს ამ პრობლემის გადასაჭრელად? ნუთუ არ იცოდნენ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ომის ბედს ავიაცია წყვეტს?! სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი გენერალური შტაბის ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა — ჯარისა და თავდაცვის სხვა მექანიზმების ჩამოყალიბების დროს მათ ვერ განსაზღვრეს, თუ ვინ და რა სახის ტექნიკა შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი არმიის პოტენციური მოწინააღმდეგე.

**— ამ დღეებში პრეზიდენტ სააკაშვილმა არაერთხელ ახსენა 1939 წლის რუსეთ-ფინეთის ომი... მოგეხსენებათ, ამ ომში რუსეთმა სერიოზული დანაკარგები განიცადა, როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო ტექნიკის სახით. არადა, ფინეთის არმიაც, მტერთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო. ჩვენს შემთხვევაში რამ განაპირობა ის, რომ ჩაბანის სამხედრო ნაწილებმა სრულიად უომრად დაიკავეს დასავლეთ საქართველო, კერძოდ, სამეგრელო?**

— მე არ ვარ სამხედრო ექსპერტი და დაბეჯითებით რამის თქმა გამიჭირდება, თუმცა ერთი რამ ფაქტია, როგორც დასაწყისში ვთქვი, ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ ელოდა, თუ ასეთ ღია და დაუფარავ აგრესიას განახორციელებდა რუსეთი. მათ ჩრდილო კავკასიაში განლაგებული, უდიდესი სამხედრო პოტენციალის მქონე ნაწილები გადმოისროლეს საქართველოში და ბუნებრივია, წინააღმდეგობას ვერ გავუწევდით, ყოველ შემთხვევაში, იმ დონის წინააღმდეგობას, რომ უკან დაეხიათ.

სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე მთელი ჩვენი ძალები ცხინვალს უტევდა და საქართველოს დანარჩენი კუთხეები დაუცველი იყო. ამიტომ ბუნებრივია, უომრად დაიკავა ჩაბანმა სამეგრელო.

რაც შეეხება რუსეთ-ფინეთის ომს, ჯერ ერთი, მაშინ სულ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო და თანაც არც საბჭოთა ჯარს ჰქონდა მომზადების სათანადო დონე. წითელი არმია ფაქტობრივად ხელმძღვანელობის გარეშე იყო დარჩენილი.

ჩვენს წინააღმდეგ კი რუსეთმა გაცილებით უფრო მწვავე და შემტევი სტრატეგია გამოიყენა, თუმცა ვფიქრობ, ამაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

**— ბატონო სოსო, დასაწყისში თქვენ თქვით, რომ გენშტაბი უამრავ შეცდომას უშვებდა. რას იტყვით იმაზე, რომ ჩვენს თავდაცვის მინისტრს არაერთხელ განუცხადებია, მზად ვართ ნებისმიერი სახის სამხედრო აგრესია მოვიგერიოთო. ბუნებრივია, მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმა.**

— ასეთ განცხადებებს არამარტო ბატონი კეზერაშვილი აკეთებდა, ჩვენ ბევრჯერ მოგვისმენია სხვების კომენტარებიც. მაგალითად, სიმონ მასხარაშვილი ერთ-ერთ გაზეთში წერდა: ქართული ჯარი რუსეთის შემოტევას უპრობლემოდ დაამარცხებსო. ახლა სად არის ნეტავ ის „ვაჟკაცი“?! იგივეს ამბობდა გივი თარგამაძეც, თემურ იაკობაშვილიც, ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ გააჩნდა იუმორის გრძნობა და რუსულ ჯარს აგდებულად იხსენიებდა. ამით მხოლოდ თავიანთ უგუნურობას ამტკიცებდნენ. არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს რუსეთის აგრესიას ვამართლებდე, მაგრამ როცა ამხელა თანამდებობა გიჭირავს, როცა სერიოზული საქმე გაბარია, ხომ უნდა დაფიქრდე, რას ლაპარაკობ და ვის მისამართით?! ხომ უნდა მიხვდე, რომ უზარმაზარ სახელმწიფოსთან გაქვს საქმე?!

ჩვენი ჯარი, რაც არ უნდა მაღალი დონეზე გაიწვრთნას, რაც არ უნდა კარგად იყოს აღჭურვილი, არასოდეს არ იქნება მზად რუსეთთან საომრად.

**— რაც შეეხება შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მიუხედავად ამ შეთანხმებისა, რუსი ჯარისკაცები კვლავ მაროდიორობენ ჩვენს ტერიტორიაზე. როგორ ფიქრობთ, რის მიღწევას ცდილობს ამით რუსული მხარე?**

— რუსული პოლიტიკის ერთ-ერთი სპეციფიური ნიშანი სწორედ ის არის, რომ არასოდეს არ იცავს შეთანხმებებს, მით უმეტეს, მცირე ქვეყნებთან. ამის უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ თუნდაც ჩვენი ისტორიიდან...

ომის შუასაუკუნეობრივი კანონის თანახმად, გამარჯვებული ჯარის მეთაური თავიანთ ჯარისკაცებს მხოლოდ სამი დღით აძლევენ აღებულ ტერიტორიაზე მარადიორობის უფლებას. მეოთხე დღეს კი წესრიგი უნდა დამყარდეს. ეს დაუწერელი კანონია, მაგრამ ყველა ძლევამოსილი სახელმწიფო ამას იცავდა და იცავს. რუსეთმა ეს კანონიც დაარღვია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რამდენად ველურ და ულმობელ ძალასთან გვაქვს საქმე.

**— ამ დღეებში ომის აპოლოგეტად მოგვევლინა რუსული მედიაც. როგორ ფიქრობთ, რუსული საზოგადოებისთვის რამდენად მისაღები იქნებოდა საქართველოზე განხორციელებული თავდასხმა?**

— მე უამრავი მეგობარი მყავს რუსეთში, და კარგად ვიცნობ მათ საზოგადოებას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ რუსი ხალხი ომის მომხრეა. სააკაშვილი, ბაქრაძე, იაკობაშვილი და სხვები პუტინთან, მედვედევთან, ჟირინოვსკთან და ბაბურინთან აიგივებენ რუსეთს, მაგრამ მერწმუნეთ, ისინი არ გამოხატავენ რუსი ხალხის ნებას. ჩვენ გვახსოვს საპროტესტო გამოსვლები მოსკოვში, როცა საბჭოთა ჯარები შეიჭრა პრაღაში, ავღანეთში, დარწმუნებული ვარ, ახლაც იქნებოდა აქციები, მაგრამ „კგბ“ დაბლოკავდა, ყოველ შემთხვევაში მედიას არ მისცემდნენ გაშუქების უფლებას. რუსული საზოგადოება დღეს სერიოზული წნეხის ქვეშაა მოქცეული. მეტიც, მოსკოვში ტერორი მძვინვარებს. ასევეა რუსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც. თქვენ როგორ ფიქრობთ, აფხაზეთში რომ ჩეჩნები იბრძოდნენ, გულზე ეხატებოდათ ელცინის იმპერიალისტური მთავრობა?! რა თქმა უნდა არა და არ შეიძლება ყველაფერს ნიჰილისტური თვალით ვუყუროთ.

**— შეიძლება თუ არა რუსეთზე რამე ისეთი პოლიტიკური ზემოქმედების განხორციელება, რომ გარკვეულწილად მაინც უკან დაიხიოს?**

— რა თქმა უნდა შეიძლება და ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა — აშშ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას ითხოვს. ეს რუსეთის ეკონომიკისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. გავიხსენოთ, რა შედეგები მოჰყვა მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტირებას , რომელიც საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრამ გამოიწვია. ახლაც ანალოგიური მდგომარეობაა და თუ დასავლეთი კვლავ ბოიკოტს არ მიმართავს, ჩვენ შეგვიძლია ორმაგ სტანდარტში დავადანაშაულოთ ისინი... ისე კი, ისტორიულად, რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხევს უკან, თუ პირისპირ დიდ სამხედრო ძალას ხედავს...

**— ჩვენი ხელისუფლების რეიტინგზე როგორ აისახება ბოლო ათი დღის განმვალობაში განვითარებული მოვლენები? და როგორ შეიძლება გამოიყენოს ოპოზიციამ ეს ყველაფერი?**

— ყოველი წაგებული ომი ხელისუფლების რეიტინგს მკვეთრად ამცირებს, ხოლო რაც შეეხება ოპოზიციას, რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ ეს ვითარება. თუმცა, აქვე მინდა ვთქვა, ლანძღვა-გინება და უშვერი სიტყვებით ოპონირება სასურველ შედეგს არც ოპოზიციას მოუტანს და არც, ზოგადად, ქართულ პოლიტიკას.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

◉ მიმართვა

# ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისადმი

**ძვირფასო მეგობრებო,**

**საქართველოს თავს დატეხილი მორიგი ძნელბედობის ჟამს მოგმართავთ თქვენ — სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებს, გიდასტურებთ ჩვენს გულწრფელ სიყვარულსა და ღრმა პატივისცემას და, ამასთანავე, გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენ ღირსეულად შეხვდებით ამ არსებითად პოლიტიკური და არა სამხედრო ფაქტორებით გამოწვეულ წარუმატებლობას, რომელიც დროებითია და დღეს თუ არა ხვალ გამარჯვებებით შეიცვლება. თქვენ ხართ საუკეთესო და ღირსეული შვილები ჩვენი საზოგადოებისა, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი და თქვენვე უნდა ჩაყაროთ ის ახალი საძირკველი, რომელზეც დაფუძნდება ძლიერი, საკუთარი ღირსების შემგნები და სასიცოცხლო ინტერესების დამცველი სუვერენული ქართული სახელმწიფო.**

**ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისათვის თავგანწირული ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამშობლოს დამცველ მეომარს, რომლის საამაყო მემკვიდრეებიც თქვენ ბრძანდებით და სწორედ თქვენ გაწევთ საშვილიშვილო ვალი, მაღალი ღირსებით ატაროთ წინაპართაგან ნაანდერძევი ტრადიცია და სულისკვეთება. თქვენ ღირსებით სავსენი დგახართ ჩვენი წარსულისა და აწმყოს წინაშე, ერისა და ბერის წინაშე, ამ დღეებში დაცემული თქვენი თანამებრძოლების სულების წინაშე.**

**გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას ქართველი ერის საუკეთესო შვილების დაღუპვის გამო, თანავუგრძნობთ მათ ოჯახებსა და ახლობლებს, თანაგიგრძნობთ თქვენ; ამასთანავე, მოგიწოდებთ ფიზიკური და სულიერი სიმტკიცისაკენ.**

**თავს ნებას მივცემთ, შეგახსენოთ ჩვენი უკვდავი წინაპრის ნაანდერძევი: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“.**

**ღრმა სიყვარულითა**
**და გულწრფელი პატივისცემით,**

**„ქართული აკადემია“**

◉ აკადემია

# გამოჩენილ სწავლულთა წვლილი

**საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო (ყოფილი პრეზიდიუმი). აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე წინადადებით შემოვიდა დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის თაობაზე.**

დამსწრეთა ერთსულოვანი მხარდაჭერით მიღებულია მიმართვა აკადემიის წევრებისადმი (აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტებისადმი): აგვისტოს თვის აკადემიური სარგოს ნახევარი გადაირიცხოს დევნილთა ფონდში. ეს თანხა 70 ათას ლარზე მეტს შეადგენს.

**თამაზ ეგანოიძე**

დრო

# აგრესიის მოსალოდნელი მასშტაბები ვერ გათვალეს, არც სამხედრო უწყება აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული



## არცთუ ხალისიანი საუბარი ჟამსა დიდი შეჭირვებისა სახალხო პარტიის ლიდერ მამუკა გიორგაძესთან

**— მიმძიმს ამ შეკითხვით დაწყება, მაგრამ სხვანაირად არ ეგების... თქვენი ფიქრით, რატომ ჩავვარდით ასეთ დღეში?**

— რასაკვირველია, რუსეთის მხრიდან განხორციელდა დაუნდობელი აგრესია და ეს, ცხადზე უცხადესია, მკაცრი დაგმობის გარდა არაფერს არ იმსახურებს.

დიდად სამწუხაროდ, სააკაშვილი საომარ მოქმედებებში ჩაერთო იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთის ეგრეთ წოდებულ სამშვიდობო ძალებს თვითონვე მიაბოძა სროლის უფლება, რაც აშკარა დანაშაულია.

მეორეც, აგრესიის მოსალოდნელი მასშტაბები ვერ გათვალეს, არც სამხედრო უწყება აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული და აქ უკვე სერიოზული შეკითხვები დგება გაზრდილ სამხედრო ბიუჯეტთან დაკავშირებით.

და კიდევ, რაც ასევე სავალალოა, მოსალოდნელი აგრესიის ფონზე სააკაშვილმა გახლიჩა ერთიან ქართული ცნობიერება.

**— სახელმწიფოს მეთაური, თუ მართლა სახელმწიფოა და მეთაურია, პირველ ყოვლისა უნდა იყოს დიპლომატი, პოლიტიკოსი, უნდა იყოს გონიერი მმართველი და არა პიარზე გადამდგარი, პოზიორი, დემაგოგი, მკვეხარა, თვითდაჯერებული, თვითმტკბობი, არავის გამგონე — როგორიც არ უნდა ჰქონდეს ქარიხმა. ასეთია ჩემი, როგორც საზოგადოების რიგითი წევრისა თუ რიგითი ჟურნალისტის „კრედო" ამ შემთხვევაში...**

**სხვათა შორის, დიპლომატობის ცინცხალ მაგალითად მესახება სოჭში გერმანიის კანცლერის ერთი გამონათქვამი, როცა ბრიფინგზე, რუსეთის პრეზიდენტისგან რამდენიმე მეტრში მდგომმა, საქართველოში რუსეთის ქმედებებს მხოლოდ „არაპროპორციულის" კვალიფიკაცია მისცა. თქვენი აზრი?**

— სააკაშვილს დიდი ხანია ვიცნობ და მისი საქმიანობის არც ერთ ეტაპზე, იქნებოდა ეს არაფორმალურ გაერთიანებაში მონაწილეობა, პარლამენტის წევრობა, მინისტრობა, ოპოზიციაში ყოფნა თუ ხელისუფლებაში მოსვლა, ჩემს ნდობას არ იმსახურებდა გამოთქმული აზრებით, შეხედულებებითა თუ განხორციელებული ქმედებებით.

დრო რომ მეტი გვქონდეს, კონკრეტულად, პუნქტ-პუნქტად გავარჩევდი თითოეულ პერიოდს მისი მოღვაწეობისა.

**— რას ფიქრობთ საქართველოს „განატოებაზე"...**

— რუსეთს აქვს სტრატეგიული ინტერესები საქართველოში და არ მოგვეშვება, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ასპარეზი, რაღაც საცდელი პოლიგონის მსგავსი.

**— საერთაშორისო მხარდაჭერა როგორ წარმოგიდგენიათ, რამდენად ეფექტიანი გეჩვენებათ?**

— მსოფლიო საზოგადოებრიობის თანადგომა კი გვაქვს, მაგრამ ეჭვი მეპარება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება შეძლებს ქვეყნის ინტერესების დაცვას. მისი წარსული და დღევანდელი ღწვა მიმართულია მხოლოდ საკუთარი ტახტის გადარჩენისკენ და ეს ყველაფერი ხალხის კისერზე გადადის.

**— საერთოდ თუ გეგულებათ საქართველოში პოლიტიკური ძალა, რომელიც, სათავეში მოსული, პირველ რიგში ქვეყანაზე, ხალხზე იზრუნებს და მერე საკუთარ თავზე. ნუ მიწყენთ და, თქვენი ჩათვლით...**

— ასეთი იქნება ოდენ ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდილი, ეროვნული ცნობიერების მატარებელი ადამიანებისაგან შემდგარი ძალა.

სწორედ ამგვარი გახლდათ ეროვნული მოძრაობის ბევრი წარმომადგენელი, რომ ლებმაც, არაერთი გაჭირვებისა და განსაცდელის მიუხედავად, შეძლოს თავიანთი სახის შენარჩუნება.



**— როგორ გესახებათ მდგომაროება ახლო მომავალში, ხომ არ გააკეთებდით პოლიტიკურ პროგნოზს?**

— ყველაფერი ხელისუფლების პრინციპულ პოზიციაზეა დამოკიდებული — მოაწერს თუ არა ხელს კაპიტულანტურ ხელშეკრულებას.

მე მგონია, პრობლემა ჩვენგან დამოუკიდებლად გადაწყდება, ოღონდ არსებითია, თუ როგორ შეიფუთება ჩვენთვის — დადებითად თუ უარყოფითად.

**— დაბოლოს, როგორ შეაფასებდით 12 აგვისტოს მიტინგს, რომელიც ხალხის თვალსაჩინო ნაწილმა ტაშფანდუროვნად მონათლა, სამდღიანი გლოვის წინ გაიმართა და ზარ-ზეიმი ჩატრდა? რომელზეც პრეზიდენტმა რამდენიმე საათი დაჰყო, მაშინ, როცა შარშანდელი 7 ნოემბრის კიდევ მეტად მრავალათასიან მიტინგზე გამოჩენაც არ იკადრა და „სამაგიეროდ" ძალოვნები გამოაჩინა?**

— ეს იყო ყოვლად მიუღებელი, ამაზრზენი სანახაობა, თუმცა სავსებით სააკაშვილის სტილში...

...ჩემს რესპონდენტს, ქვეყნის პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ერთ-ერთ დამსახურებულ ფიგურას და საკუთარ თავსაც უკეთეს ვითარებაში შეხვედრა ვუსურვე.

**თამაზ ეზანოიძე**

ხედვა უცხოეთიდან

# ვაჟას სტუმარმასპინძლურად

***ოთხი წლის წინათ ვაშინგტონში მოღვაწე ცნობილ ქართულ თეატრ „სინეთიკის" მიერ დადგმულმა „სტუმარ-მასპინძელმა" ამერიკელი მაყურებელი, მედია და კრიტიკა შოკში ჩააგდო „სტუმარ-მასპინძელი" ვაჟა ფშაველასი. მახსოვს ჩემი განცდა: შოკი, გულის ამოვარდნამდე ბაგაბუგი და უტყვი გაშეშება... წარმატებაც შოკში ჩამგდები იყო. ისიც მახსოვს, რომ დარბაზში ინალ კაზანი იჯდა, აფხაზი. 2002-ში იგი საქართველოში გახლდათ. ომის დროს ფრონტის იქეთა მხარეს მდგომი, 12 წლის შემდეგ სამშვიდობო ინიციატივები ჩამოვიდა ფრონტის აქეთ, თბილისში, „კავკასიური სახლის" ინიციტივით. მაშინ ამ სახლში ვმუშაობდი და კოლეგებთან ერთად კაზანს ყველა ინსტანციაში დავყვებოდი. არაფერი გამოვიდა იმ ვიზიტებისგან... ალბათ, მხოლოდ ახლანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ვთქვათ: მიამიტ მცდელობას უფრო ჰგავდა ეს ყველაფერი (მაშინ მიამიტობას ცოტაოდენი შანსი მაინც ჰქონდა), მცდელობას ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი" თეატრის კი არა, კრემლის სცენაზე დაგვედგა...***

**პაატა ციქურიშვილის** თეატრი „სინეთიკი" (ქორეოგრაფი — ირინა ციქურიშვილიძ ამერიკაში ერთადერთი ქართული თეატრია. სახელიანი, ამბიციური, მრავალჯილდოიანი, გასაოცრად შეკრული, საინტერესო და მრავალფეროვანი. ქართული თეატრი რომ ვამბობ, ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი. „სინეთიკი" ამერიკული თეატრია ქართული სამხატვრო ხელმძღვანელობით. ჰოდა, გაგანია ახალი სპექტაკლის (გერმანული „დოქტორ კალიგარის კაბინეტი"ძ, მზადებისას პაატა ციქურიშვილმა გადაწყვიტა (მას მთელმა დასმა აუბა მხარიძ პრემიერისთვის მზადების ფაცი-ფუცი დროებით შეეჩერებინა და ისევ ვაჟასთვის მიემართა... არა მარტო სცენაზე, არამედ ვაშინგტონის ქუჩებშიც. საქართველოში დაწყებული ომის პარალელურად „სინეთიკიც" იბრძვის. ოღონდ ფრონტის ხაზიდან ძალიან შორს, სახეზე დახატული ქართული დროშებით, გულში გამარჯვების რწმენით, უიარაღოდ და არტისტულად. „იბრძვის" ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს წინ, ვისკონსინ ავენიუზე. ეს საელჩო ძალიან ახლოსაა იმ ეკლესიიდან, სადაც წირვა ქართულად მიმდინარეობს, სადაც ქართველები ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებიან.

— ის, რაც საქართველოში მოხდა და ახლაც ხდება, საშინელი ტრაგედიაა. — ამბობს პაატა. — უსაზღვრო ტრაგედია! ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლება გამეკეთებინა ამ დღეებში და გადავწყვიტე: 4 წლის წინანდელი „სტუმარ-მასპინძელი" „სინეთიკის" სცენაზე დამებრუნებინა და რუსეთის აგრესიისთვის ვაჟას სულით მეპასუხა. მსახიობთა 95 პროცენტმა თანხმობა განაცხადა. ისინი დაბრუნდნენ და ახლა ძველი სპექტაკლის აღდგენაზე ვმუშაობთ. როგორადაც ჩვენი ცხოვრება ამოტრიალდა 8 აგვისტოს, ისევე ოპერატიულად „ამოვატრიალე" თეატრის რეპერტუარი. ქართველი, არა ქართველი ადამიანების ცხოვრება მარტო საქართველოში კი არ შეიცვალა, არამედ აქაც, სამშობლოდან შორს რადიკალურად შეიცვალა. ჩვენ, ქართველი მსახიობები, ჩვენს მაყურებელს ჩვენებურად ვთავაზობთ პრობლემის ხედვას. ეს ჩემი ინსტიქტური გადაწყვეტილება იყო.

**— გენიალური „სტუმარ-მასპინძელი" ჰუმანისტური იდეებისაა. ფრონტის ცხელი ხაზი კი ჰუმანიზმს შანსს არ უტოვებს...**

— მე, როგორც ქართველი ადამიანი, უსაზღვროდ დათრგუნული ვარ იმ ვანდალიზმითა და ძალადობით, რასაც რუსეთი საქართველოში სჩადის. რუსებმა თავისი ქმედებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოზიტიური ძაფი საბოლოოდ გაწყვიტეს. „სტუმარ-მასპინძელი" არაა მხოლოდ ორი ერის, რწმენის ან ორი ოჯახის დაპირისპირება, ამგვარი დაპირისპირება ამ ნაწარმოებში ამერიკელისთვის შეუმჩნეველია. „სტუმარ-მასპინძელი" გლობალურია. მე კიდევ მჯერა, რომ აშშ და ევროპა იმ ზომამდე მივა, რომ ამდენი საუკუნეების ლოდინის შემდეგ საქართველოში ბოლოს და ბოლოს ფეხს შეადგამს.

იხ. 7 გვ.

ომის შემდეგ

# ხალხი პანიკას არ აჰყვა, მაგრამ...

**როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე, ომს თავისი კანონები აქვს. კანონებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ დროს უამრავი საზრუნავით თავგზააბნეული ხალხი სავაჭრო ობიექტებს რომ მიაწყდება ხოლმე და სურსათ-სანოვაგის მარაგის შესაქმნელად უკანასკნელ გროშებსაც აღარ იშურებს, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ გაუაზრებელ ქმედებას რა შედეგი მოსდევს და მას ინფლაცია საკუთარი მუცლის ამოსაყორად როგორ იყენებს, ესეც კარგად ცნობილია. ამიტომაც აფრთხილებდა ხელისუფლება ხალხს — სიმშვიდე გამოეჩინა, პანიკაში არ ჩავარდნილიყო და ქვეყანაში კვების პროდუქტების დეფიციტი ხელოვნურად არ შეექმნა.**

სიმართლე უნდა ითქვას, ბევრმა გაითვალისწინა ეს გონივრული რჩევა, ბევრმაც არა — ჩემი თვალით ვნახე ერთ სუპერმარკეტში ხანდაზმულმა ქალბატონმა რამდენიმე ბოთლი მზესუმზირის ზეთი და შაქრის ფხვნილით სავსე ფუთა როგორ ამოიღლიავა. ასეთი შიშნარევი დახარბება უფრო ომის პირველ დღეს შეიმჩნეოდა, მომდევნო დღეებში ხალხი დარწმუნდა, რომ კვების მხრივ საშიშროება არ ემუქრებოდა (გარდა იმ ქალაქებისა და სოფლებისა, სადაც უშუალოდ ომის ხანძარი მძვინვარებდაძ და სამომხმარებლო ბაზარზე ერთგვარმა სიმშვიდემ დაისადგურა.

თუმცა მედროვე ხალხს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. ბევრმა ხარბმა და მუცელღმერთამ ვერც ამ საყოველთაო გასაჭირის ჟამს სძლია ცდუნებას და სხვათა უბედურებას პირადი კეთილდღეობა მოარგო. მეგობარმა მიამბო, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბითუმო ვაჭრობის ერთ-ერთ ობიექტში, ვიღაც ჩარჩმა როგორ გაიწყვიტა ნამუსი და კვების პროდუქტების შესაძენად მისულ ლტოლვილებს საქონელი არსებულ ფასთან შედარებით 10-15 თეთრის წამატებით შეასაღა. თანაც, რომ უსაყვედურეს, თავი იმართლა, მაშ როგორ გინდათ, თქვე მამაცხონებულებო, ერთბაშად ამდენი პროდუქტი რომ დახვეტეთ, რაღაცა მოგება მეც ხომ უნდა დამრჩესო (!ძ.




ასეა, რაც უნდა ბევრი აფრთხილო ადამიანები, პანიკაში არ ჩავარდეთო, სიხარბე და უზნეობა თავის სარგო „მოგებას“ მაინც დაეძებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოულობს კიდეც, რაც უპირველესად კვების პროდუქტების ფასების ზრდაში აისახება. ასე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ხალხმა პანიკა კი დაძლია, მაგრამ ინფლაციამ, რომელიც სინდის-ნამუსით მშვიდობიან პერიოდშიც ვერ დაიტრაბახებს, დრო იხელთა და მომხმარებელთა ჯიბეში კიდევ უფრო ღრმად შეძვრა. რამდენიმე დღეში ყველის ფასმა, მაგალითად, 6-7 ლარიდან 8-10 ლარამდე აიწია, შაქრისამ — 1,20 ლარიდან 1,50 ლარამდე, კვერცხისამ — 17 თეთრიდან 25 თეთრამდე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

საბურთალოზე, ერთ მარკეტში (ახლა ყველა მაღაზია „მარკეტად“ ან „სუპერმარკეტად“ გადანათლესძ ასეთ სურათს შევესწარი:

— შვილო, შენ გახარებას, მაიტა 10 კვერცხი ჩამიწყე ცელოფანის პარკში, — სთხოვა თეთრწვერა მოხუცმა დახლში მობზრიალე ქალიშვილს და ორლარიანი გადააწოდა.

— ორი ლარი არ ეყოფა, ბაბუ, 50 თეთრი კიდევ უნდა დაამატო.

— უნდა დავამატო?, — შეიცხადა კლიენტმა, — მე აქეთ ველოდებოდი ხურდას და თქვე კაიდედმამიშვილებო იქით მამატებინებთ?

— რა ვქნა, ბაბუ, მე ხომ არ გამიძვირებია, — სცადა თავის მართლება გამყიდველმა.

— აბა ვინ გააძვირა?

— ომმა, ბატონო, ომმა, — შეუძახეს მოხუცს აქეთ-იქიდან მარკეტში მოჯარებულმა მომხმარებლებმა.

— ომმა? ქათმები რა, საომრად იყვნენ გაწვეულები? — შეანათა დაბნეული თვალები პენსიონერმა გვერდით მდგომ ფაშფაშა ქალბატონს.

— ქათმები არა, ბატონო, მათი პატრონები იბრძოდნენ, რის გამოც დედლები განერვიულდნენ და კვერცხმდებლობას მოუკლეს — განუმარტა ფაშფაშამ.

ვერ გეტყვით, სერიოზულად მიიღო თუ არა ასეთი განმარტება პენსიონერმა, მაგრამ იმ დღისით, ძველ ფასთან შედარებით, 3,5 კვერცხით რომ იზარალა, ამაში, რა თქმა უნდა, თავად განმმარტებელიც არ შეეჭვებულა, რომ აღარაფერი ვთქვათ პრემიერ ლადო გურგენიძესა და მისი გუნდის წევრებზე, რომლებიც ირწმუნებოდნენ, პროდუქტების ისეთი მარაგი გვაქვს შექმნილი, ომი კი არა, ზღვა რომ გადმოვიდეს კალაპოტიდან, მაინც ვერაფერს დაგვაკლებსო.

თუმცა წინასწარ ლადო გურგენიძემ კი არა, მერწმუნეთ, ნათელმხილველმა ლელა კაკულიამაც არ იცის რა მოხდება. აგე, ყველა ფიქრობდა, რომ ომის დღეებში ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავი გაძვირდებოდა, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა — ნავთობპროდუქტების იმპორტიორებმა ფასები გაზრდის ნაცვლად 5 თეთრით შეამცირეს (?!ძ.

აბა ამ მეკვერცხეებს რაღა ღმერთი გაუწყრათო — იკითხავთ თქვენ და მართალიც იქნებით. როგორც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, კვერცხის მწარმოებლებმა ბოლო პერიოდში ერთმანეთში „რაღაც ვერ გაიყვეს“, კვერცხის ფასი ჯერ 15 თეთრამდე დააგდეს, შემდეგ კი ნელ-ნელა ასწიეს და ომის დღეებში 25 თეთრამდე გაზარდეს.

მაინც რა ხდება?

ისეთი არაფერი, ჩვენს სახელგანთქმულ დემოკრატიულ და წარმატებული რეფორმების ქვეყანაში ჯერ არ მომხდარიყოს . ჰოდა, თუ ასეა, არც ის უნდა გაგიკვირდეთ, კვერცხის მწარმოებელთა შორის ლიდერ ფირმას („კოდაზეა“ ლაპარაკძ ხელისუფლებაში ლობისტი ეპოვა, შედეგად, კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის წყალობით, მიზნისთვის მიელწია და სამომხმარებლო ბაზარზე მონოპოლისტის სტატუსისთვის გამოეკრა ხელი. ამან შედარებით წვრილ-წვრილი ფირმები, რა თქმა უნდა, გააღიზიანა და ერთგვარად აზარალა კიდეც. უფრო დაზარალებული კი, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მომხმარებელი აღმოჩნდა, რომელმაც ომის მარცხიც და ბაზრის სიძვირეც საკუთარ მხრებზე გადაიტანა.

წვრილი კომპანიები ხმამაღალ განცხადებებს ერიდებიან, ისე კი ჩუმ-ჩუმად მეორე მსხვილ კომპანიასაც („დილის პროდუქტებს“ძ უკაწუნებენ კბილებს გასაკრავად. მას ბრალად სდებენ უკრაინიდან დიდი რაოდენობის კვერცხის პარტიის შემოტანას, რასაც „დილის პროდუქტები“ კატეგორიულად უარყოფს და წარმოების მკვეთრად გაფართოებას იქადნება. ამასობაში კი, როგორც ამბობენ, თურმე ფირმა „პატარძეულმა“ ერაყში კვერცის ექსპორტი დაიწყო.

მოდი და ნუ გაგიკვირდება, მსხვილი კვერცხის მწარმოებელი ფირმები იმდენ პროდუქციას ქმნიან, აღარ იციან სად წაიღონ (წვრილებმა მათთან წაგებულ კონკურენციას თავი რომ დააღწიონ, კვერცხის საზღვარგარეთ ექსპორტი დაიწყებსძ, სამომხმარებლო ბაზარზე კი კვერცხის ფასი დაკლების ნაცვლად ზევით-ზევით მიიწევს. იქნებ ახლა მაინც, როცა რუსი ოკუპანტების მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეულმა ომმა ქვეყნის ეკონომიკას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, დადგა დრო იმისა, რომ ხელისუფლების რბილ სავარძლებში მსხდომმა ჩინოვნიკ-ლობისტებმა იფიქრონ საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად ქცეულ ადამიანთა ბედზე და გაუმაძღარი მადა ოდნავ მაინც მოთოკონ?

**ოთარ ხუციშვილი**

კონფლიქტის ზონა

# ქართველთა გენოციდს რუსებიც აღიარებენ

***რუსეთის ოფიცრები და სამხედროები ყოველმხრივ ცდილობენ დამალონ ქართველთა გენოციდისა და თავიანთი ჯარისკაცების მაროდიორობის ფაქტები. ამის გამო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ უშვებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს. მიუხედავად ამისა, რუსულ საინფორმაციო საშუალებებში გაჟონა ცნობებმა მთელი რიგი ქართული სოფლების პირწმინდად დაცარიელებისა და ცარიელი სახლების გადაწვა-დანგრევის თაობაზე.***

### ქართველთა ნასახლარზე რუსებს ყაზარმებს აშენებენ

**რუსული საინფორმაციო წყაროს „ნოვიე იზვესტიას“ პატრიოტული განცხადებით, ომის დაწყებისთანავე შეჭრილმა ჯარებმა ქვა-ქვაზე არ დატოვეს სოფელ ნულში, კეხვში, თამარაშენში, ავნევში.** ეს ტერიტორიები მთლიანად განთავისუფლებულია ქართველებისგან. საინფორმაციო წყარო იმასაც აღნიშნავს, რომ ძარცვასა და გენოციდს, სახლების დაწვას ახორციელებენ არა რუსი ჯარისკაცები, არამედ მათ შეყოლილი ოსი მაროდიორები. საინფორმაციო საშუალება იმასაც გვამცნობს, რომ ქართველებისგან დაცარიელებულ და გადამწვარ სოფლებში რუს ჯარისკაცებს ყაზარმებს აშენებენ.

იმ სოფლებში კი სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული მოსახლეობა, მაროდიორები აწამებენ მათ. თითო სახლში რამდენიმეჯერ შედის სხვადასხვა ბანდფორმირება. სოფელ კანათში თავისსავე ეზოში მოკლეს 65 წლის მოხუცი ვლადიმერ ჯიოშვილი. სოფლებში ვანათში, ვარბში, მერეთში, დისევში, ძსუისში და სხვა კანტი-კუნტად ჩარჩენილი ქართველი მოსახლეობა შიმშილობს. გადაუკეტეს სასმელი წყალი. საქონელი, ფრინველი, რაც ოკუპანტების ეგზეკუციას გადაურჩა შიმშილით და უწყლობით ელუპებათ. გადარჩენილები ამაოდ ელოდებიან დახმარებას ხელისუფლებისგან.

### რუსები ჩარჩენილ ქართველებს ასამართლებენ

**რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ ავნევში ტყვედ აიყვანეს 6 ქართველი. მათგან ხუთი 60 წელსაა გადაცილებული. მათ ბრალი მკვლელობების მუხლით წაუყენეს.**

მანამდე კი 20-მდე ტყვედ აყვანილი ქართველი უკვე გადაიყვანეს ვლადიკავკაზში. დაიწყო მათი დაკითხვა. მათ მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები რუსი სამხედროების მკვლელობების მუხლით. რუსი სამხედრო მაღალჩინოსნების განცხადებით უკვე შექმნილია 30 საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც არა მხოლოდ მკვლელობების, არამედ დაჭრის ფაქტებსაც გამოიძიებს.

### ჩვენ ერთი გმირი გვყავს

**მაშინ, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობა, წამყვანი სახელმწიფოს ლიდერები აღშფოთებულები არიან რუსეთის აგრესიით საქართველოს მიმართ და კიდევ უფრო მეტად ოკუპანტების მაროდიორობისა და მკვლელობების ფაქტებით რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა თავის თავდაცვის მინისტრს სერდიუკოვს მოსთხოვა ყველა იმ ჯარისკაცისა და ოფიცრის სია, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საომარ ოპერაციებში მონაწილეობდნენ, რათა მოხდეს მათი სხვადასხვა ფორმით წახალისება-დაჯილდოება.** მედვედევმა უკვე მოასწრო ოფიცრების ერთი ჯგუფის „წმინდა გიორგის“, ხოლო ჯარისკაცებისა და მეზღვაურების „გიორგის ჯვრით“ დაჯილდოება.

თუ მაროდიორებისა და მკვლელების დაჯილდოება ხდება, რატომ არ შეიძლება ჩვენმა მხარემ სამშობლოსთვის დაღუპულები ან ბრძოლებში გამორჩეულები დააჯილდოვოს. ნუთუ ასე ცოტა გვყავდა? როდესაც ამგვარ კითხვებს რუსების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნით შეშინებულ პარლამენტარებს უსვამენ პასუხი ერთი აქვთ — ნუ გავაღიზიანებთ რუსებს. ოღონდ აქედან გავიდნენ და მერე ყველაფერი იქნება. არ არის გამორიცხული ოკუპანტების საქართველოდან გასვლის შემდეგ ჩვენ გვყავდეს ერთადერთი გმირი. ეს ხომ „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ ხშირად მომხდარა.

**ზაზა ბილიხოძე**



გულის ბუხარი

***იტყვიან, სულგამწარებული დედაა, როდესაც მშობელი საყვარელ შვილს დაკარგავს. საშინელი ტრაგედიაა! მაგრამ ერი ჩვენისთანა სულგამწარებული იშვიათადაა. რუსი ბარბაროსებისგან საქართველო ძალიან ხშირად უკიდურესად სულგამწარებული იყო. განსაკუთრებით ვიგრძენით ეს ახლა 2008 წლის აგვისტოში: ხელებჩამოყრილსა და მხოლოდ ლოცვებზე გადასულ მშვიდობიან მოსახლეობას დაუნდობლად ბომბავდნენ, სპობდნენ ყველაფერს და ყოველივეს უმოქმედო სული ერისა იხრუკებოდა ბარბაროსთა უსაშველო ცეცხლით; წლევანდელი აგვისტოს ატეხილი მზე და ხვატი მალამოდ ექცა გამწარებულ ხალხს. ნუთუ ასე მალე დაივიწყა რუსმა საზოგადოებამ, ერთ დროს თუ რა დღეში იყვნენ ფაშისტებისგან? რუსი ხალხი რატომ არ დადის ეკლესიაში? თუ დადიან, ვერ შეიგნეს მაცხოვრის შეგონება? — მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენო. მაგრამ ნებისმიერი ბარბაროსი ხომ ყოველი სიკეთისაგან გაშიშვლებულ-გაძარცვულია; დღევანდელი რუსეთი ამ მხრივ გამორჩეულია. სულით და გონებით ცივი ხალხია რუსეთში. ვაი იმ ქვეყანას, ვისაც რუსი ბარბაროსად მოევლინება!***

# რუსი ბარბაროსებისგან აწიოკებული ქართველთა სული



2008 წლის აგვისტო. რუსი ბარბაროსების მიერ საქართველოში დაბნელებული მზე.

ამ გაუბედურებულ დღეებში საქართველოს უძველესი სულიერი ჭრილობებიც გაეხსნა, მოუშორებელი სპარსელებისაგან, მონღოლ თათრებისაგან, საშინელი არაბებისაგან, ოსმალებისგან მიყენებული სადისტური ტანჯვით გამოწვეული ტკივილი. ძნელია ჩვენს გამანადგურებელ ყველა მტერის აქ ჩამოთვლა.

სული მარადიულია თავისი ზეციური უცნაური ფორმით, ის უნაკლოდ ინახავს ყოველგვარ მისეულ განცდას; სული პატარა წონის და მონაკვეთისაა, მაგრამ ვერც ერთი კომპიუტერული მეხსიერება, დღევანდელი ტექნიკისა იქნება თუ უსასრულო მომავლის, ვერ გაუტოლდება მას. სული ხომ, გონებასთან ერთად, სახე და მოდელია ღმერთის და სამყაროსი... მომხდურმა რუსმა ბარბაროსებმა უდანაშაულო ქართველი ერის უფაქიზესი სული გავარვარებულ ტაფაზე შეაგდეს და რამდენიმე დღის განმავლობაში საშინელი სიმწრით, დამცირებული იხრუკებოდა და იტანჯებოდა, რომ არა მსოფლიოს კეთილი ძალა, ნახშირად გვაქცევდნენ ხორციან-სულიანად. მათი შხამიანი და გველეშაპის ძალა არ ინდობს არავის. კაცობრიობის კეთილმა ნებამ დროზევე უნდა ჩაუკლას ეს საშინელი სატანური ავადმყოფობა, თუ არადა, მრავალ დიდსა და პატარა ქვეყანას დაღუპავენ და თავიანთ თავსაც; მათი შოვინისტური სულიერი გაავება დროზე უნდა დამუხრუჭდეს და განიკურნოს, თუ ის განკურნებადია, არადა, გაერთიანებული ძალებით, სამუდამოდ უნდა ამოიშანთოს... თვითონაც მოისვენებენ და ჩვენს სულსაც ეშველება. სხეული ჩვენი დროებითი მოვლენაა, ამქვეყნიური სული მარადიულია და ეს უხილავი ღვთიური ფენომენი, მათგან და მაგისთანებისგან სამუდამო ჭრილობების იარებშია გახვეული. სული ქართული ერისა ოდითგანვე მრავლადაა დასერილი მუქი ლურჯი კლაკნილი ხაზებით, რომლებიც სულის ია-იასფერ ზირთვზე მკვეთრ კაპილარებადაა გამოხატული...

რამდენიმე ათასი წლის წინათ, ძველ კოლხეთს ველური სკვითები შემოსევიან თურმე. ისე ამოუწყვეტიათ ეს ცივილიზებული ქვეყანა, რომ სამას-ოთხას წელს ფეხზე ვერ წამომდგარიყო. ამდაგვარი ისტორიის განმეორების წინაშე დაგვაყენა წელს რუსულმა სატანამ. მაგრამ ამერიკის პრეზიდენტის, ბატონი ბუშის დიდი პოლიტიკური და ბარბაროსებთან დიპლომატიური დაპირისპირების შემდგომ დროებით გაიტრუნა რუსეთის ბოროტების უსაშველო მანქანა... ამით მარტო ჩვენ კი არა, აფხაზები და ოსებიც გადარჩნენ. ბარბაროსები პირველად ჩვენ, ქართველებს, ელვისებური სისწრაფით ხომ გაგვაქრობდნენ, მაგრამ, ჩვენზე გაბუტულ ძმებსაც, ნელი-ნელა, მგუდავი გველის თვისებით მოშლიდნენ ამა ქვეყნიდან და მსოფლიოში გაჩნდებოდა ახალი გეოგრაფიული სახელი „კავკასიის რუსეთი“...

ამ დღეებში ჩემი ქვეყნის და ერის სიკვდილის მოახლოება რომ მანახეს, წარმოუდგენელ, გაუგონარ, ენით აღუწერელ სულიერ ათუთქვას ვგრძნობდი. თითქოსდა განვცალკევდით სული და ხორციელი „მე“. სული ცალკე იწვოდა, მისი აურა კი საშინელ ნერვულ სტრესში აგდებდა ტანჯულ სხეულს...

ჭეშმარიტად, მათ ღმერთის რაღაც ნაწილს ცეცხლი წაუკიდეს. სატანაზე უფრო იმძლავრეს, ყველაფერი ქართულის წასაშლელად და ყოველთა გამანადგურებლად მოვიდნენ... ნება რომ ჰქონოდათ ამ არაკაცებს, ცეცხლს წაუკიდებდნენ კავკასიის მთებს, გორებს, ბორცვებს, ზღვას, მდინარეებს, ველ-მინდვრებს და საბოლოოდ საფლავებსაც გადაგვიწვავდნენ, საფლავების ქვებით კი სასახლეს აიშენებდნენ... ასეთი ბარბაროსული რუსეთი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს.

ჩვენ საქმე გვაქვს ამ ხალხის ურთულესსა და უბოროტეს სულიერ და ფსიქოლოგიურ ფენომენთან. ზოგიერთ ერს ხომ ჰქონია, ფსიქოპათიური პიროვნებებიდან გამომდინარე, ამდაგვარი ბოროტული ამოვარდნები, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება ამ ულვთო მანქანისგან, რადგან ეს მექანიზმი მათი სულიერი, დაბადებიდან მარადიული და თანდაყოლილი ორგანოა. რუსი ინტელიგენციის მრავალმა მოაზროვნემ ჩვენზე წინ აღნიშნა და დაწერა მათი საშინელი სულიერი და ზნეობრივი ნაკლის და შოვინიზმის შესახებ. მსოფლიოს კეთილშობილურ საზოგადოებას მართებს მარადიული სიფხიზლე და ყურადღება ამდაგვარ ერებზე თუ არადა, ეს ბარბაროსები ჩვენს პლანეტასაც დაწვავენ თავიანთი გაყინული თავის ტვინის მიყოლებით.

რუსი ხალხი დიდი სატანის ყველა მიზნის შემსრულებელი ერია. უბრძანებს ეშმაკეული წინამძღოლი: — მიუხედი და მოსპე, გადაწვი, გაანადგურე, წაშალე ხელოვნების შედევრებიდან დაწყებული, ჩვეულებრივ ქვამდეო, — ღიმილით შეასრულებს ის და ნაცარტუტად აქცევს ყველაფერს...

ჩემსა და თქვენს გარდა მილიონობით ადამიანის სულს ცეცხლი წაუკიდეს მათ და საყოველთაო სულიერი განგაში ჩამოაგდეს; თავიანთი არაადამიანური საქციელითა და ბარბაროსობით პლანეტაც მელანქოლიურად აღტყინებული უჩვეულოდ აატორტმანეს...

მაცხოვარმა ერთხელ ზიდა მძიმე ჯვარი, ტანჯვა-წამებით და ჯვარს ეცვა და რამდენიმე საათში უფალი სამოთხეში მოხვდა.

საქართველო მთელი თავისი არსებობის პერიოდში ტანჯვასა და უმძიმესი ჯვრის ტარებაშია სპარსელებისგან, არაბებისგან, ოსმალოსგან, ხოლო რუსებისგან გამოჩორკნილ ჯვარს ორას წელზე მეტია ეზიდება. ერის ჯვარცმის ბოლო არ ჩანს და განწირულთა წამება არ დასრულდა. ყოველივე ეს ხომ უფრო დიდი ტანჯვაა იმათგან, თუ რამე წამება და კაცთ გაწირვა ყოფილა დედამიწაზე, და რატომ? იგივე კითხვას უსვამდა კეთილი მაცხოვარი გაბოროტებულ ადამიანებს! — პასუხი არ იყო. საქართველოსთვისაც პასუხი არ არის...

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისთვისაც წამება და მძიმე ჯვრის ზიდვა გრძელდება... თურმე უსასრულოა ის...

**რეზო ადამია,**
**2008 წლის 15 აგვისტო**

ხედვა უცხოეთიდან

# ვაჟას სტუმარმასპინძლურად

**(მეხუთე გვერდიდან)**

**— პაატა, სხვა რისი გაკეთებაა შესაძლებელი?**

— მე საკმაოდ ფართო კონტაქტები მაქვს. სენატორებს, პარტიების წარმომადგენლებს წერილები დავუგზავნე და ისიც გადავწყვიტე, რომ არ მოვშორდე რამდენიმე სენატორის კაბინეტის კარებს. არ ვიცი, ეს რას უშველის. ერთი კი ვიცი, რომ ევროპის ან ამერიკის ჯარები საქართველოს საზღვრებთან ახლოს მაინც რომ მოვიდნენ, ეს კრემლს შეაჩერებს. რუსებს დიდი გული პატარა ხალხთან აქვთ. საქართველო ახლა იმ წყალგამყოფზეა, როცა მთელი მსოფლიო ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტს. საუკუნეების განმავლობაში მარტონი ვიყავით უზარმაზარი იმპერიების წინაშე. მონღოლები, თურქები, მეტი თუ არა მეფის რუსეთი, საბჭოთა კავშირი, ჩვენ შეწირული ხალხი ვართ? არა! რადგან ამ საუკუნეების განმავლობაში მსოფლიომ როგორც იქნა ხმა ამოიღო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლა ისე არ დასრულდება, როგორც ეს რუსეთს უნდა.

**— გაიგო გორის, სენაკის, ფოთის, მილსადენის დაბომბვის ფასად...**

— ქართველებს ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, ჩვენი სიმბოლო წმინდა გიორგია. მე მივხვდი, რატომაა იგი ჩვენი მფარველი. წმინდა გიორგი ეომება მონსტრს და ამარცხებს მას. ჩვენ, მთელი ცხოვრება უზარმაზარ მონსტრს ვერკინებით!

**— თეარტის მრავალეროვანმა დასმა როგორ გამოხატა თავისი დამოკიდებულება?**

— ჩემი თეატრი ვაშინგტონში არსებულ თეატრებს შორის ყველაზე მრავალეროვანია. დასში და გამგეობაში მყავს რუსები, უკრაინელები, ბულგარელები, რუმინელები და, ბუნებრივია, ამერიკელები. რუსები მიტინგებზეც კი წამომყვნენ. ჩვენ თეატრალიზებული აქცია მოვაწყვეთ. სახეზე ქართული დროშები დავიხატეთ. ყველას სტკივა საქართველოს სატკივარი. ერთი რუსი გოგონა „სინეთიკის“ ადმინიტრაციაში მუშაობს. იგი ტიროდა და მეუბნებოდა: თვალებში ვერ გიყურებ და საერთოდ, ხალხს თვალებში ვერ ვუყურებ, მრცხვენია, რას სჩადის ჩემი ხალხი!!? ... თუმცა არიან რუსები, რომლებიც ჩაგვივლიან მანქანით და შუა თითს აგვიწევენ. რას იზამ, ცუდი ადამიანებიც ხომ არსებობენ... მაგრამ ეს არაა ჩემი პრობლემა. ახლა გამალებული რეპეტიციები მაქვს. 4 კვირაში „სტუმარ-მასპინძელი“ კვლავ ამერიკულ სცენაზე გათამაშდება. ვაჟა კვლავ იქნება ქართველების სულის გამომხატველი...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ვაშინგტონი**

რას წერენ ჩვენზე

# სარკოზი: რუსი ჯარების გამოყვანა აუცილებელია



**საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი აღნიშნავს რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანის გადაუდებლობის შესახებ და ამბობს: „ეს პუნქტი არ განხილულა".**

ეს სიტყვები არის სარკოზის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდება ორშაბათს პარიზის გაზეთ „ფიგაროში".

ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ასრულებს ევროკავშირის თავმჯდომარის როლს, ელისეის სასახლის ბატონ-პატრონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგებაში, რომელიც წარმოიშვა სამხრეთ ოსეთის გამო.

ამჟამად იგი გვპირდება, რომ მოწვეული იქნება ევროკავშირის სპეციალური სამიტი, თუ მოსკოვი არ გამოიყვანს საქართველოს ტერიტორიიდან თავის ჯარებს, რომლებიც იქ შევიდნენ კონფლიქტის დაწყებისთანავე.

„ეს გამოყვანა უნდა მოხდეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, — ხაზგასმით აღნიშნავს სარკოზი. ეს პუნქტი, ჩემი აზრით, არ განიხილება".

საფრანგეთის ხელმძღვანელის სტატიის თეზისები გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პირობა მისცა მას, რომ რუსი ჯარების გამოყვანა საქართველოს ტერიტორიიდან დაიწყება ორშაბათს.

„თუ ეს შეთანხმება დაზავების შესახებ არ შესრულდება სწრაფად და მთლიანად, მე მომიწევს მოვიწვიო ევროსაბჭოს რიგგარეშე სხდომა, რათა განვიხილოთ შედეგები", — წერს სარკოზი.

ევროსაბჭო — ეს არის ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების შეხვედრის სახელწოდება, რომელიც ჩვეულებრივად წელიწადში ოთხჯერ იმართება ბრიუსელში.

ამას გარდა, საფრანგეთის პრეზიდენტი გვაფრთხილებს „რუსეთის ევროკავშირთან სერიოზული შედეგების შესახებაც", თუ შეთანხმება არ იქნება შესრულებული მთლიანად და სვამს კიდევ უფრო ვრცელ შეკითხვას — იმ საგარეო პოლიტიკის მომავლის შესახებ, რომელსაც მოსკოვი ახორციელებს.

„ჩვენ აგრეთვე უნდა განვსაზღვროთ, არის თუ არა რუსეთის ინტერვენცია მის მეზობელ საქართველოსთან განსაკუთრებული სიმკაცრითა და საგანგებო რეაქციებით გამორჩეული, თუ იგი წარმოადგენს სიმბოლოს მოსკოვის ურთიერთობის ახალი გამკაცრებისა თავის მეზობელთან და მთელ მსოფლიო გაერთიანებასთან", — წერს იგი და აღნიშნავს: ამ კონფლიქტის შედეგები შეიძლება „გახდეს კატასტროფული, თუ იგი წარმოადგენს ახალი ცივი ომის მდგომარეობას".

აღიარებს სარკოზი იმასაც, რომ დაზავება, რომელშიც იგი შუამავლის როლში გამოდის, „ყველაფერს არ წყვეტს". — სარკოზი აღნიშნავს, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი საქართველოში საერთაშორისო ძალების ყოფნის შესახებ, რათა „დავაშორიშოროთ მხარეები და დავადასტუროთ, რომ ისინი ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს". „მსოფლიო გაერთიანებას მოუწევს მობილიზაცია იმისათვის, რათა დაეხმაროს გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებს და დაეხმაროს საქართველოს აღდგეს ნგრევის შემდეგ", — დამატებით აღნიშნავს იგი.

BBC

**„ვაშინგტონმა გაამკაცრა თავისი პოზიცია რუსეთთან ურთიერთობაში — მას იმედი ჰქონდა, რომ შეამცირებდა ზარალს, რაც მიადგა მის პრესტიჟს საქართველოში კრიზისთან დაკავშირებით", — აცხადებს „დეილი ტელეგრაფი", რომელსაც მოჰყავს კონდოლიზა რაისის სიტყვები.**

„რუსეთი ამისათვის გადაიხდის... საქართველო აღდგება, მაგრამ აღდგება კი რუსეთის რეპუტაცია — ეს დიდი საკითხია", — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა.

რაისის განცხადება გახდა პასუხი იმ კრიტიკაზე, რაც ამერიკის საგარეო პოლიტიკამ განიცადა ბოლო პერიოდში, რომელმაც არათუ ვერ შენიშნა რუსეთის შეჭრა, არამედ ვერ შეძლო მისი შეწყვეტის ფორსირებაც.

განცხადებასთან დაკავშირებით ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან მიერთების გამო... საჭიროა კრემლს მივცეთ უფრო მტკიცე პასუხი მისი დაშინების გამო პატარა ლატვიისა და ესტონეთის მიმართ".

„მაგრამ ამას გარდა, არის არგუმენტები იმისათვის, რათა გაკეთდეს პაუზა და ვიფიქროთ და არა ვეცადოთ, ვუპასუხოთ დარტყმით დარტყმაზე. ჩვენ უნდა გავწყვიტოთ ეს ჯაჭვური რეაქცია, როდესაც დავაში სამხრეთ ოსეთის გამო შედიან სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნები და თითოეული მათგანი ეწევა საუბარს რომელიღაც ახალი მიმართულებით. ჩვენ შეიძლება დაგვავიწყდეს მთავარი: აქ რეალურია პრობლემა — გადაიჭრას პრობლემები". „უკრაინა იკვლევს ცნობებს იმის შესახებ, რომ რუსეთი გასცემს თავის პასპორტებს სტავროპოლის მცხოვრებლებზე: ასეთი ნაბიჯი გამოიწვევდა იმის საშიშროებას, რომ კრემლი აღვივებს ყირიმში სეპარატისტულ განწყობილებას იმის პრელუდიის სახით, რომ დაიწყოს სამხედრო ინტერვენცია. ცნობები ამის შესახებ არის იმის საფუძველი, რომ ბრალი დაედოს რუსეთს, რომელიც ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში... პრეზიდენტ იუშჩენკოს ალიანსმა საქართველოსთან გამოიწვია შემდგომი უკმაყოფილება უმეტესად ყირიმის რუს მოსახლეობას შორის. ისტორიულად ეს ტერიტორია რუსეთის ნაწილი იყო, მაგრამ ის 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადასცა საბჭოთა უკრაინას. უკრაინის ეროვნული უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა აგრეთვე, რომ ყირიმში აჯანყება შეუძლებელია — რუსეთის მხარდამჭერითაც და უიმისოდაც".

გაზეთის აზრით, „ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა იქნებოდა პროამერიკული, თუმცა მზადმყოფი იმისათვის, რომ ვაშინგტონს უთხრას სიმართლე პირდაპირ, და უფრო მზადმყოფი იმისათვის, რომ გამოიყენოს სათანადო ძალები".

„რუსეთი იბრძვის იმისათვის, რომ მას პატივი სცენ ისევე, როგორც ამას ითხოვს დანით შეიარაღებული ქუჩის ხულიგანი", — აღნიშნავს თავის ერთ-ერთ კომენტარში „გარდიანი" და ცდილობს ახსნას რუსეთის ურთიერთობის ფესვები: „საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ მიზნად ისახავდა გამოეყენებინა რუსეთის სისუსტე და დაემყარებინა პროდასავლური რეჟიმი, სადაც ამისათვის არსებობდა ხელსაყრელი ნიადაგი. ვაშინგტონის აღქმით ეს არ წარმოადგენს აგრესიას ანდა სულაც თავიანთი თავის ფასეულობათა საგაგნებო დამტკიცებას, ვინაიდან მისი მიზანია — შეიცვალოს ტირანია და რეპრესიები დემოკრატიითა და თავისუფლებით".

„მაგრამ რუსეთს ეს სულაც არ აღელვებს. ისინი ხედავენ მხოლოდ, რომ ამერიკული რაკეტები ადგილს პოულობენ პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, საქართველო კი ხდება ამერიკის მარიონეტი. მაგრამ იმათმაც, ვინც არ ეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობას შეიყვანოს ნატოში საქართველო და უკრაინა, არ უნდა დაივიწყონ იმის შესახებ, თუ მოსკოვის ნება რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში იქნება წარმატებული, ამ ქვეყნის მცხოვრებლები ვერც კი იხილავენ ადამიანის უფლებების მსგავს რაიმეს".

„ტაიმსი" აქვეყნებს ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გაზეთის მუშაკის უილიამ რიის-მოგის სტატიას. მისი აზრით, „თუ დღევანდელი კონფლიქტის მსვლელობაში რუსეთი შემოიფარგლებოდა თავისი მოქმედებებით სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილების დაცვით, მაგრამ არ შეიყვანდა თავის ჯარებს საქართველოში, ის შეინარჩუნებდა დასავლეთთან თანამშრომლობის მცდელობას... ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით მისმა დაყოვნებამ და ინტერვენციის გაფართოებამ სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ შექმნეს სრულიად ახალ ვითარება, რომელიც კიდევ უფრო გაუარესდა დაშინებით, რომ დაუმიზნებს თავის ბირთვულ რაკეტებს პოლონეთს და, როგორც ჩანს, უკრაინასაც". ამჟამად, როგორც კომენტატორი აღნიშნავს, კრემლში აშკარად ზეიმობენ „ქორები", მაგრამ „ძირეული ინტერესები რუსებს ერთნაირი აქვთ დასავლეთთან. ესაა გლობალური ვაჭრობა, ნავთობისა და გაზის სტაბილური ევროპული ბაზარი, ისლამისტური ტერორიზმის მოგერიება, სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილება და ინვესტიციები მოდერნიზაციაში".

## ნატო დაშინებათა შორის ფრთხილად, მაგრამ ორ ნაწილად იხევა

„დასავლეთი ერთიანია საქართველოსთან პოზიციაში", — აცხადებს პირველ გვერდზე „ფინანსიქალ ტაიმსი". მაგრამ სტატიის დასასრულს მიუთითებს: „ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ შექმნან დასავლეთის ქვეყნების ერთიანი ფრონტი რუსეთზე ზემოქმედებისათვის. მაგრამ მოკავშირეებს შორის გაჩნდა ზოგიერთი ნაპრალი: გერმანია, საფრანგეთი და იტალია წინააღმდეგი არიან ვაშინგტონის სწრაფვისა რუსეთის იზოლაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით".

მაგრამ ალიანსში აზრის სხვადასხვაობის მიუხედავად, ამერიკელ და ბრიტანელ დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ ბრიუსელის ხვალინდელი შეხვედრა მისცემს მოსკოვს არაორაზროვან სიგნალს იმის შესახებ, რომ ნატო მხარს დაუჭერს საქართველოს და გმობს მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევას რუსეთის მხრიდან.

„დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ „მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ მიიღო ერთგვარი მხარდაჭერა ანგელა მერკელის მხრიდან, რომელიც იმყოფებოდა თბილისში და განაცხადა, რომ საქართველოს მიიღებს ნატოში... მაგრამ მიუხედავად მერკელის სიტყვების მხარდაჭერისა, ანალიტიკოსების უმეტესობას მიაჩნია, რომ კონფლიქტმა პრაქტიკულად წაართვა საქართველოს შანსი გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი".

თავის მხრივ „ინდეპენდენტი" სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ საჭიროა შევამსუბუქოს რიტორიკის დაძაბულობა რუსეთთან დაკავშირებით: „რასაკვირველია, რუსეთს უნდა მიეზღოს თავისი, როდესაც იგი იმუქრება ბირთვული იარაღით პოლონეთის

კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფი" სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ ბრიტანეთმა საჭიროა კვლავ აიღოს თავის ხელში საკუთარი საგარეო პოლიტიკა: რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში ბრიტანეთს ფაქტობრივად წარმოადგენს საფრანგეთის პრეზიდენტი და ევროკავშირის დღევანდელი თავმჯდომარე ნიკოლა სარკოზი. მაგრამ „ბრიტანეთს ამ რეგიონში აქვს საკუთარი შორეული ისტორია. მე-19 საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში ჩვენი მიზანი იყო რუსეთის ექსპანსიონიზმის შეჩერება შავ ზღვაზე... სასიამოვნოა, რომ კონსერვატიული პარტიის დღევანდელი ლიდერი დევიდ კამერონი სთავაზობს მსგავს მორალურ მხარდაჭერას საქართველოს მთავრობას ახალ კონტექსტში".

მიმოხილვა მოამზადა
**დიმიტრი კარპოვმა**

BBC

# სამხრეთ ოსეთის ლიდერმა მთავრობა გაყარა

**უღიარებელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ გადააყენა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობა. ამავე დროს მან გამოსცა ბრძანებულება სამხრეთ ოსეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღებისა და საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც ევალება აღდგენითი სამუშაოების წარმოება. ამ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ზნაურ გასიევი.**

ამის შესახებ განაცხადა კოკოითმა, როდესაც გამოდიოდა რუსეთის ტელეარხ „ვესტის" ეთერში.

კვირას სამხრეთ ოსეთის ლიდერმა თავისი მინისტრები გაყარა და მათ დასდო ბრალი ჰუმანიტარული დახმარების განაწილების გაჭიანურებაში და მის დავალებათა შესრულების დაყოვნებაში.

იგი მათ აფრთხილებს, რომ იძულებულია „მიიღოს გადამჭრელი ზომები", ვინაიდან „მთავრობა პარალიზებულია, ყველა სამსახური უმოქმედოდაა".

კოკოითის მიერ მიღებული გადაადგილებების აზრი ჯერჯერობით მთლად გარკვეული როდია. როგორც ცხინვალის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, იქ ცხოვრება თანდათან დგება თავის კალაპოტში. ჰუმანიტარული დახმარება რუსეთიდან შემოდის განუწყვეტელი ნაკადით, მუშაობა დაიწყო რადიომ და ტელევიზიამ, მალე აღდგება წყალსადენიც.

კვირას კოკოითიმ განაცხადა, რომ „მთავრობა უნდა მუშაობდეს იმ ძალებთან უნისონში, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებენ", და მას სურს, რომ „შექმნას მთავრობა ინტრიგების გარეშე, ჩინოვნიკი უნდა მუშაობდეს ხალხისათვის და არა საკუთარი ინტერესებისთვის".

ამავე დროს, მისი სიტყვებით, „თითოეული შრომისმოყვარე ჩინოვნიკი მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას ახალ საგანგებო კომისიაში".

კოკოითის სიტყვებით, 18 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ის მისცემს თავის ხელქვეითებს კონკრეტულ დავალებებს, ხოლო მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში იმუქრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით.

უკვე ცნობილია, რომ ძალოვან ბლოკს ახალ ადმინისტრაციაში კურირებას გაუკეთებს სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ანატოლი ბარანკევიჩი — სტავროპოლის მხარის სამხედრო კომისრის ყოფილი მოადგილე.

ჯერჯერობით უცნობია, შეინარჩუნებენ თუ არა თავიანთ პოსტებს უღიარებელი რესპუბლიკის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები — თავდაცვის მინისტრი ვასილი ლუნევი (რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, პერმის მხარის ყოფილი სამხედრო კომისარიძ, ადგილობრივი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი ანატოლი ბარანოვი (რომელიც ადრე ხელმძღვანელობდა უშიშროების ფედერალური ბიუროს სამმართველოს მორდოვიაშიძ და შინაგან საქმეთა მინისტრი მიხეილ მინძაევი (წარსულში ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელიძ.

კოკოითიმ აგრეთვე განაცხადა, რომ ცხინვალის აღდგენაში მათ დაეხმარებათ ჩრდილოეთ ოსეთის არქიტექტორი ვიტალი კალოევი, რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა მას შემდეგ, რაც მოკლა შვეიცარიის სააერონავიგაციო კომპანიის დისპეტჩერი, რომელიც, მისი აზრით, დამნაშავე იყო მისი მეუღლისა და ორი შვილის დაღუპვაში ბოდენის თავზე მომხდარ ავიაკატასტროფაში 2002 წელს.

კალოევი გაასამართლა შვეიცარიის სასამართლომ, შემდეგ ის ვადამდე გაათავისუფლეს და მალე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დანიშნეს ჩრდილოეთ ოსეთის მშენებლობის მინისტრის მოადგილედ. რა თანამდებობას ჰპირდება მას კოკოითი, ჯერჯერობით უცნობია.

თავის გამოსვლაში ეთერში კოკოითიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხი მიაჩნია გადაწყვეტილად და ამასთან დაკავშირებით არ აპირებს მოაწყოს ახალი რეფერენდუმი უღიარებელ რესპუბლიკაში.

კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა კოკოითის გამონათქვამებზე გაზეთ „კომერსანტში", ასეთი რეაგირება მოახდინა: სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა „მთლიანად გაასუფთავეს" ქართული სოფლები რესპუბლიკის ტერიტორიაზე და „ოსები აღარ შემოუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე" იქ მცხოვრებ ქართველებს.

სმოლენსკის მოედანზე კოკოითის განცხადებას „ემოციური" უწოდეს.

„არის საერთაშორისო სამართლის საერთოდ აღიარებული ნორმები, რომლის თანახმადაც პირებს უფლება აქვთ დაუბრუნდნენ თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილებს, როდესაც ვითარება, რის გამოთაც მათ მოუხდათ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები, შეიცვლება უკეთესობისაკენ", — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ კომენტარებში.

ამავე დროს რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება აღნიშნავს, რომ „სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელმძღვანელობის აგრესიული მოქმედებების შემდეგ ადამიანების გრძნობები უკიდურესად გამწვავებულია" და ამიტომ ლტოლვილების დაბრუნებისათვის საჭირო გახდება „დიდი დრო".

ამ დროს ცნობილი გახდა, რომ საქართველოში კოკოითისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერის სერგეი ბაღაფშის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

BBC

◉ ოპტიმისტური ტრაგედია

# სევდის ბაღი



**ამ მონაკვეთს, „ალექსანდრეს ბაღის“ ზედა მხარეს, რუსთაველის გამზირს რომ ეკვრის, ამჟამად „9 აპრილის ბაღი“ ჰქვია. მას ახსოვს 1989 წლის გაზაფხულის საბედისწერო რია-რია, ახსოვს დახოცილები და დაჭრილები, ახსოვს უამრავი დევნილი. მერე ქალაქის ხელისუფლებამ ერთ მხარეს, თაბუკაშვილის ქუჩის პირზე ცაცხვები დარგო 9 აპრილის მსხვერპლთა პატივსაცემად... მას შემდეგ თითქმის 20 წელი გავიდა, ნეტა განახათ, რა ლამაზად აიყარეს ტანი, რა კოხტად დაიტოტნენ ცაცხვები...**

ყოველ მათგანს მიკრული აქვს მუყაოს ფირფიტა ლამაზი შრიფტით, რომელზეც დაღუპულის გვარ-სახელია წარწერილი. რა გასაკვირია, სევდის მომგვრელია ეს ყოველივე. ამ ცოტა ხნის წინათ, ვიღაცა ხელმრუდს, ისეთს, ერის გუშინდელი დღე ფეხებზე რომ ჰკიდია და ცაცხვზე მიკრული ფირფიტაც არაფერს ეუბნება, ერთი ფირფიტა, ანუ ერთი გვარ-სახელი დაენაკუწებინა და ცაცხვის ძირში დაეყარა. უბნელები იქვე ვსეირნობდით და შემთხვევით მოვკარით თვალი ამ უმსგავსობას, გაგიჟდა, გადაირია ბონდო ჩვამანია, ვინ არიან, კაცო, ესენიო (ავისმქნელებს გულისხმობდაძ, სად იზრდებიან ეგ ჩემისებიო, აღარც 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნა იციან, აღარც წინაპრის, რამ გაუყინათ ასე სისხლიო, რას უშავებდა ეს ფირფიტა, იმ შობელძაღლსო... ნახეთ, ნახეთ ერთი, ახალთახალი ძელსკამები უკვე რას დაამსგავსესო, ნაგავს ფეხებთან იყრიან, სანაგვე ყუთი კი იქვე დგასო!..

ძლივს გავაჩერეთ, უნდა მოვძებნო ამის ჩამდენიო, მერე დაცვის ბიჭებს აუყვირდა, რას აკეთებთ თქვენ აქ, ტყუილა რომ სეირნობთ, ვითომ წესრიგს იცავთო!..

...ზაფხულზე გაყუჩებულია ბაღი, ატრაქციონზე ბავშვთა ჟივილ-ხივილი მიწყნარებულია...დილით „ბომჟებითაა“ სავსე ძელსკამები (ახლა დევნილებიც მიემატნენძ, მოგვიანებით ისინი პენსიონერებს უთმობენ ადგილს და არის კამათი, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკაზე, ახლა რომ ცხინვალის თემაც დაემატა...

აი, ნაცნობი სურათი: ჩვენს გარშემო ერთი შაოსანი ქალი მიდი-მოდის და სანაგვეებში იქექება... ცარიელ ბოთლებს ეძებს, ეგ უბედურიო, ამბობს წოპე. ქალმა ჩვენს სიახლოვესაც გადაქექა ნაგავი. არ დაუტოვებიათ არაფერიო... — მწარედ იხუმრა ჩვენს გასაგონად...

— ეეეე... ვინ რას დაგიტოვებს, — გახედა წოპემ.

— რა ვქნა, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება, საყოფაცხოვრებოს სისტემაში ვმუშაობდი, ერთადერთი ვაჟიშვილი კიბომ მომიკლა, რძალიც ავადმყოფია... ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი მყავს... ჩემი პენსია რას გვეყოფა... თვალებმაც მიმტყუნეს, ჩასაწვეთებელი წამლის ფული არ მაქვს... აი, ასე ბოთლებს ვეძებ ბაღში და ვაბარებ...

...იქვე შავგრემანი, წვერწამოზრდილი ახალგაზრდა კაცი ზის. თავზე წითელი კეპი ახურავს, „პატრიოტი“ — თეთრად აწერია ზედ... მოკლესახელოებიანი ფარაჯა, გაზინთული შარვალი და წაღები, ჩაღამებული თვალები... „იბრძოდი იქა?“ — ინტერესდება ბონდო. ახალგაზრდა უფრო ახლოს გადმოჯდა. თავი დაუქნია ბონდოს. „მერე აქ“...

„ფეხით გამოვიარე მთელი გზა, ახლობლებთან მივედი ღამის გასათევად... სახლში არავინ დამხვდა... წუხელ აქ გავათენე...

„ჯარისკაცი ხარ?“

„რეზერვისტი... გურიიდან“. გურულ რამაზ თავბერიძეს თვალები უფართოვდება: „რა გვარი ხარ, ბიჭო!“ „ძნელაძე... ძლივს ჩამოვაღწიე თბილისში“. რამაზი დგება, მიდის, მალევე ბრუნდება, ცელოფანში რამე-რუმეები უწყვია. ძელსკამზე ალაგებს პურს, ხაჭაპურს, ძეხვს, ყველის ნაჭერს, ერთ ბოთლ არაყს, რამდენიმე ბოთლ ლუდს, ერთჯერად ჭიქებს. „მოიწი აქეთ, მშიერი იქნები“ — ანიშნებს ბიჭს.

„მოდი, მოდი, ნუ გერიდება“ — ბონდოს ჯაყვა გაუხსნია, პურს და ძეხვს ჭრის.

...ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი ჩავლილი ტრაგიკული ბრძოლების ეპიზოდებს იხსენებს: „მთელი ჩემი ცხოვრება იმას ვფიქრობდი, რომ ჩვენ ომი დავთმეთ 92-ში და სირცხვილის გრძნობა არ მასვენებდა. ამიტომ წავედი ცხინვალში... მე არც გმირი ვარ და არც გადარეული, ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი ვარ, რომელსაც სამშობლო უყვარს... უამრავი დაღუპულია... ლომებივით იბრძოდნენ ბიჭები... რუსეთის 58-ე არმია დაზარალდა, სამაგიეროდ, ჩვენი მე-4 ბრიგადა თითქმის აღარ არსებობს...

წოპემ თავი გადააქნია, პურის ნაჭერს ყველი დაადო: „მერე, მერე“.

„არტილერიამ მაგრად იმუშავა... შაბათ ღამით ომს ვიგებდით, ყველა თვითმფრინავი ჩამოყარეს, რაც კი ჩვენს ტერიტორიაზე შემოფრინდა. ის ცნობილი ტუ-22-იც — პილოტების შეპყრობით და მთელი ამბებით... ამის შემდეგ იყო, რომ სალამოსკენ როკზე შეწყდა ჯარების შემოსვლა... იზომბებოდა და იზომბებოდა ერთადერთი გზა ვიწრო ხევში... მერე რუსებმა ითხოვეს დერეფანი დაჭრილების გასაყვანად...

„აბა, რა მოხდა, მაინც რა მოხდა? — ეკითხება რეზერვისტს რამაზი.



„რა მოხდა და ომი წააგო ხელისუფლებამ... ჯარისკაცებმა, მართლაც აჩვენეს ქართული სული, მაგრამ ომის დაგეგმვამ, ცხინვალის უაზრო დერეფანმა... ეს დერეფანი ოსებმა ცხინვალში შემოსაჯლიგინებლად გამოიყენეს... და, მაინც ორჯერ იგებდა ჯარი, ალბათ იმ შემართების ხარჯზე იგებოდა, რაც ბოლო წლებში დაგროვდა და უნდოდა, რომ ეს კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებულიყო... რამდენი დაგლეჯილი სამხედრო ვნახე, რომელიც არ ჩერდებოდა და იბრძოდა... თვითორგანიზების ხარჯზე მიდიოდა ომი... არ მინახავს მაროდიორობა, რაიმე დანაშაული, ნასვამი ჯარისკაცი... იცით, რომ 58-ე არმიაში მთელი რუსეთის სამხრეთის ჯარებია? მოემწყვდნენ აქ ერთ ვიწრო ხეობაში და ჟუჟეს და ჟუჟეს ჩვენმა ბიჭებმა...

„და, მაინც წავაგეთ“, — ჩაილაპარაკა ბონდომ.

„უჭკუობამ წააგო... მანდ დიდი პოლიტიკაა ჩადებული და ჩვენ არაფერი ვიცით... იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ... ქართულ სულს გაუმარჯოს!“ ბიჭმა არაყი მოსვა, წამოდგა: „წავალ ახლა, თუ ჩავაღწიე გურიაში“.

„ჩააღწევ, აბა, რა იქნება, აჰა, ეს ოცლარიანი, გაყევი რამეს დასავლეთისკენ“ — რამაზს თვალებში ცრემლი უბზინავს.

ბიჭი არ შეყოყმანებულა, ფული გამოართვა, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, გვითხრა ძელსკამთან შეკრებილებს და ნელა გაუყა ბაღის კიდეს რუსთაველის გამზირისკენ.

◉ ისტორია მწარედ მეორდება

# „შავი ჭირი“ გვიტევს!..

**მგელი არ მოშლის მგლობასა, ამბობს ქართველი კაცი. სიმართლეს ამბობს! იშლის, მაგალითად, მგელი (დათვი) რუსეთი მგლობას (დათვობას)? არა და არა! აფრთხილებენ, ამუნათებენ, რუსს არავისი ესმის.** რამდენჯერ დაარღვია მეზობელი, ერთი ციცქნა საქართველოს საზღვარი? თვლა არა აქვს. 2002 წლის შემოდგომაზე პანკისის ხეობაში ბომბიც კი ჩამოაგდო. ყველა რაღაცით გამოხატავდა იმ დღეებში აღშფოთებას. მე ავდექი და გალექსილი სატირული მიმართვა დავწერე პუტინის სახელზე, რომელიც, შეიძლება გახსოვთ, „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა, აი, ისიც:

**ჭკუას მოეგო ეგება!**

**„ვლადი მირ“ აღარ გამოგდით,**
**„ვლადი კავკასიც“ გეცლებათ,**
**სჯობს, რომ თქვენს რუსეთს მიხედოთ,**
**თუ გაქვთ ამისი შეძლება!**
**თვალი გიჭირავთ ჩვენზედა,**
**ვხედავთ, — იქცევით უტვინოდ,**
**„სალდაფონები“ დაგღუპავთ,**
**პატივცემულო პუტინო!**



მოეგო ჭკუას პუტინი?! ის კი არა, მისმა „ხელის ბიჭმა“ მედვედევმა უარესი ქნა (იქნებ, „უფროსის“ წაქეზებითაცძ: ბომბა, ძარცვა იმერ-ამერი, ოკუპანტი რუსის თავხედობასა და სისაძაგლეს საზღვარი არა აქვს. ჩემი ლექსი კი არა, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მეთაურები უქნევენ თითს, უდებენ ხელშეკრულებებს, არაფერი შველის...

რა ვუყოთ ამ „შავ ჭირს“, ადამიანებო?!..

◉ მერიის საყურადღებოდ!

# „სამშობლოდან“ დევნილს სამშობლოდან დევნილებმა უთხრეს

**ერთი წლის წინათ, მთელმა საქართველომ იცის, ამ ხელისუფლებამ, როგორ გამოგვყარა ათობით გაზეთის რედაქცია გამომცემლობა „სამშობლოდან“.** ერთი წელი გავიდა, ქალაქის ცენტრში მდგარი ეს შენობა კი ჯერაც უპატრონია, გავერანდა შიგნით ყველაფერი. ამასობაში, შიდა ქართლის ტრაგედიაც დატრიალდა და ათიათასობით ადამიანი დევნილი გახდა... როგორც ვიცით, ამ უბედურებს, სხვადასხვა დაწესებულების შენობაში აძლევენ დროებით თავშესაფარს. „სამშობლოშიც“ შეასახლეს ერთი ჯგუფი — ძირითადად გორის რაიონის მცხოვრებნი.

შესახლებით კი შეასახლეს, მაგრამ, როგორც გუშინ დილით გამომცემლობის წინ გამოფენილმა დევნილებმა გვითხრეს, შენობაში არც წყალია,



არც შუქი და ანტისანიტარიას მიაქვს აქაურობა... საჭმელი, ასე თუ ისე, გვაქვსო, ძირითადად, ძეხვი და პურიო...

კი, მაგრამ, ჩნდება კითხვა, ჰუმანიტარულ დახმარებაში მარტო ძეხვი და პური შედის?!

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

ოლიმპიადა

# არსენი მეოთხეა, ლუბა — მეექვსე



**გასულ უქმეებზე საქართველოს წარგზავნილებმა პეკინში რამდენიმე ოლიმპიურ სარბიელზე მოსინჯეს ძალები. ყველაზე წარმატებული ცხინვალელი ძალოსნის არსენ კასაბიევის (94 კგ.ძ გამოსვლა აღმოჩნდა — ორჭიდის ჯამში 399 კილოთი მან მე-4 ადგილი დაიკავა, არადა, ძალიან ახლოს იყო მედალთან. ატაცში არსენმა პირველ ცდაზე 172 კილოგრამი დაძლია, მერე 4 კილოთი გააუმჯობესა შედეგი. ბოლოს 178 კგ-საც შეეჭიდა, მაგრამ შტანგა ვერ დაიმორჩილა.**

კასაბაევი უფრო ძლიერია აკვრაში. ასპარეზობა მან 215 კილოგრამით დაიწყო. მეორე ცდაზე 223 კილოგრამი დაძლია. საკმარისი იყო, 4 კილოგრამი წაემატებინა წონისთვის და მედალიც გარანტირებული ექნებოდა, მაგრამ მწვრთნელი და შეგირდი რისკზე წავიდნენ — მესამე ცდისთვის 231 კილოგრამი შეუკვეთეს, რაც „ოქროსთვის" იყო გამიზნული. სამწუხაროდ, არსენი წონას ვერ მოერია და საბოლოოდ, როგორც აღვნიშნეთ, მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე კასაბაევის დებიუტი ოთხი წლის წინათ ათენში შედგა. 17 წლის ყმაწვილმა მაშინ მე-14 ადგილი დაიკავა. ამჯერად გათამაშების ცხრილში მთელი 10 ადგილით აინაცვლა. ლონდონის ოლიმპიადაზე, იმედია, ჩემპიონობის რეალური ფავორიტი იქნება.

შესანიშნავად იასპარეზა ბატუტზე ხტომაში ლუბა გოლოვინამ, რომელიც 18 წლისაა. საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოცდილ სპორტსმენებთან პაექრობისას ლუბამ მეხუთე ადგილი დაიკავა და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

გუშინ ლუბამ დასკვნით ეტაპზე ბოლომდე ვერ გამოავლინა შესაძლებლობები და მეექვსე ადგილს დასჯერდა. ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ანა დოლონაძე, მხოლოდ მერვე იყო. ოქროს მედალი ჩინელ ვენა ჰემს ხვდა.



ფეხბურთი

# მოზაიკა

**ესპანეთი. სუპერთასის გათამაშების პირველი მატჩი.** „ვალენსია"—„რეალი" 3:2.

**იტალია. ბერლუსკონის თასი.** „მილანი" — „იუვენტუსი" 4:1.

**ინგლისი. I ტური.** „არსენალი" — „ვესტ ბრომვიჩი" 1:0, „მანჩესტერი" — „ნიუკასლი" 1:1, „სანდერლენდი" — „ლივერპული" 0:1, „ჩელსი" — „პორტსმუთი" 4:0, „ჰალი" — „ფულჰემი" 2:1, „ევერტონი" — „ბლექბერნი" 2:3, „ბოლტონი" — „სტოკი" 3:1, „ვესტ ჰემი" — „იუგანი" 2:1, „ასტონ ვილა" — „სიტი" 4:2, „მიდლსბრო" — „ტოტენჰემი" 2:1.

**გერმანია. I ტური.** „ბაიერნი" — „ჰამბურგი" 2:2, „შალკე" — „ჰანოვერი" 3:0, „ლევერკუზენი" — „ბორუსია" 2:3, „ვოლფსბურგი" — „კიოლნი" 2:1, „კოტბუსი" —



„ჰოფენჰაიმი" 0:3, „ბილეფელდი" — „ვერდერი" 2:2, „გლადბახი" — „შტუტგარტი" 1:3, „კარლსრუე" — „ბოხუმი" 1:0, „აინტრახტი" — „ჰერტა" 0:2.

**პეკინი. ოლიმპიადის მეოთხედფინალური შეხვედრები.** ბრაზილია — კამერუნი 2:0 (დამატებით დროშიძ, ბელგია — იტალია 3:2, არგენტინა — ჰოლანდია 2:1 (დამატებით დროშიძ, ნიგერია — კოტ დივუარი 2:0.

**ამხანაგური მატჩი.** „ბარსელონა" — „ბოკა ხუნიორსი" 2:1.

ეს საინტერესოა

# 173-ჯერ ძვირად!



**თუმცა პეკინში ოლიმპიური თამაშები ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე ფართოდ გაიშალა იქაური სპორტული რარიტეტებით ვაჭრობა.**

აუქციონზე ნომინალურ ღირებულებაზე 173-ჯერ უფრო ძვირად გაიყიდა ოლიმპიური ჩირაღდანი. მასში ადგილობრივმა კოლექციონერმა 260 ათასი იუანი (37 ათასი დოლარიძ გადაიხადა. ფაქტობრივად ოლიმპიური ჩირაღდანი1,5 ათასი იუანი (225 დოლარიძ ღირს. ასეთი ჩირაღდანი კი რამდენიმე ათასია დამზადებული, რაც მილიარდზე მეტი მოსახლეობის ქვეყნისთვის ერთობ ცოტაა, რამაც ჩირაღდანი უკვე სანატრელ იშვიათობად აქცია.

ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე გამოყენებულ ბილეთებში (ის კი 90 ათასი იყოძ კოლექციონერები უკვე ათას იუანს (150 დოლარსძ იხდიან.

ცურვა

# ჩვენი დროის გმირი!

**ასე „მონათლა" საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი ჯერ კიდევ მაშინ, პეკინში მეხუთე „ოქროს" რომ დაეუფლა და თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, თუმცა ამით როდი ამოიწურა 23 წლის ამერიკელის „საქმენი საგმირონია". ის კიდევ სამი „ოქროს" მფლობელი გახდა და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული თოთხმეტამდე (!ძ აიყვანა (ექვსი ოქრო მან ათენიდან წამოიღოძ, თანაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მან რვიდან შვიდი გაცურვა მსოფლიო რეკორდით დაამთავრა, მხოლოდ 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვისას თვალები წყლით აევსო, რამაც ოდნავ შეაფერხა კიდევ ერთი რეკორდისთვის ბრძოლაში.**



თანაც ფელპსმა პირნათლად შეასრულა წინასაოლიმპიადო დანაპირები — დაამხობდა აქამდე ხელუხლებელ რეკორდს, მისმა თანამემამულე მარკ სპიტცმა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე რომ დაამყარა — 7 ოლიმპიური „ოქრო". ახლა კი ახალგაზრდა მოცურავე თავად იქცა, ალბათ, კარგა ხანს მოუწვდომელ რეკორდსმენად.

შეგახსენებთ, რომ მაიკლ ფელპსმა პეკინში ხუთ ინდივიდუალურ და სამ გუნდურ გაცურვაში იპირველა. გასაკვირი როდია, როდესაც კომბინირებულ ესტაფეტაში 4 X 100 გამარჯვების შემდეგ, აუზიდან ამოსული მაიკლი ემოციებს ვერ ფარავდა. თუმცა არც გაემტყუნება, რადგან მისი გმირობით აღტაცებული იყო თითქმის ყველა — მისი გულშემატკივარიც და უამრავი სხვაც, ვინც ამერიკელი მოცურავის არნახული წარმატების ამბავი შეიტყო.

ახლა, ალბათ, მარტო ყველა მოცურავემ კი არა, საერთოდ, ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილემ მიზნად უნდა დაისახოს — დავეწიოთ და გავუსწროთ ფელპსს! თუ რამდენად შესაძლებელია ეს, დრო გვიჩვენებს.

ათლეტიზმი

# ტრიუმფი ამერიკაში

**ამ ტრაგიკულ დღეებში აშშ-ს ქალაქ ფილადელფიაში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ათლეტიზმის ცალკეულ მოძრაობებში და მსოფლიო თასის გათამაშება გუნდურ ჩათვლაში. თითოეული გუნდიდან ჩათვლას იძლეოდა ოთხ-ოთხი სპორტსმენი.**

ჩვენს ეროვნულ ნაკრებს (დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკოლოზ სარალიძეძ წარმოადგენენ: კახაბერ ერგემლიძე (110 კგ.ძ, ავთანდილ მამალაძე, მანუჩარ ჭინჭარაული (ორივე 125 კგ.ძ, ზურაბ ჭავჭანიძე (მძიმე წონის ვეტერანთა შორისძ.

„ჯვაროსნებს" ფილადელფიაში შეუერთდა ჩვენი უძლიერესი ძალოსანი სამჭიდელი ზურაბ ძამუკაშვილი (82,5 კგ.ძ, რომელიც მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისიდან ჩამოვიდა, სადაც არნოლდ შვარცენეგერის მიერ ორგანიზებულ ათლეტიზმის უმაღლესი სირთულის შეჯიბრებების „არნოლდ ფესტივალში" (6 მარტი, 2009 ლ. ოჰაიოს შტატი, ქ. კოლუმბუსიძ მონაწილეობის ლიცენზია მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბი პირველი ათლეტია საქართველოდან, ვისაც ასეთი პატივი ხვდა წილად.



რადგანაც ჩვენი გუნდი უკვე დაკომპლექტებული იყო, ზურაბს მასპინძლებმა შესთავაზეს მსოფლიო თასის პარალელურად მიმდინარე ათლეტიზმის ცალკეულ მოძრაობებში აშშ-ს ეროვნულ ჩემპიონატში (Single Lift Nationalsძ მიეღო მონაწილეობა. ზურაბმა ძალისმიერი სამჭიდის ერთ-ერთ მოძრაობაში (ამოწევაშიძ სცადა ძალა და შედეგით 310 კგ. I ადგილი მოიპოვა.

110 კგ-მდე წონით კატეგორიაში **კახაბერ ერგემლიძემ** წოლჭიმსა და რეპში (წოლჭიმი განმეორებებითძ იმარჯვა.

125 კგ-მდე წონით კატეგორიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მსოფლიოს 2005 და 2007 წლების ჩემპიონები **ავთანდილ მამალაძე და მანუჩარ ჭინჭარაული.** ავთანდილმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა. მან წოლჭიმში, რეპსა და ბიცეპსებით წონის აწევაში აჯობა ყველას, ხოლო მანუჩარი მეორე იყო წოლჭიმსა და რეპში.

მძიმე წონით კატეგორიაში წოლჭიმსა და რეპში ვეტერანებს შორის ბადალი არ ჰყავდა ზურაბ ჭავჭანიძეს.

აღსანიშნავია, რომ **ზურაბ ძამუკაშვილი, კახაბერ ერგემლიძე და ავთანდილ მამალაძე** საუკეთესო ათლეტისათვის (Best Lifterძ განკუთვნილი ძალზე პრესტიჟული დაფებით დააჯილდოვეს.



სასიამოვნოა, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო თასი მოიპოვა.

გუნდს ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ამერიკაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, ათლეტიზმში მსოფლიოს ექსჩემპიონებმა **ბორის სარალიძემ და ვეფხია ჯმუხაძემ.**

დავძენთ, რომ ამ პრესტიჟული ასპარეზობის ორგანიზატორებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნას.

**სურათებზე: საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი; ასპარეზობს ზურაბ ძამუკაშვილი.**

№ 154. სამშაბათი, 19 აგვისტო, 2008 წელი.

◉ ომის ექო თბილისში



# რწმენას მართლაც დიდი ძალა ჰქონია

## მადლობა ამ სკოლას, დოლიძის ქუჩის მოსახლეობას, – ამბობენ დევნილები

**ამ ისედაც ლტოლვილებით გადატვირთულ საქართველოს კიდევ უამრავი დევნილი შეემატა. დოლიძის ქუჩაზე, 61-ე საშუალო სკოლაში, 200-მდე დევნილი ცხოვრობს.**

— ლტოლვილთა ნაკადებს 8 აგვისტოდან ვიღებთ, — მიყვება სკოლის დირექტორი **შოთა მანჯავიძე.** როგორც შევძელით, ისე მივიღეთ ეს გაუბედურებული ადამიანები. მეორე დღიდან პედაგოგებმა რიგრიგობით დაიწყეს სკოლაში მორიგეობა, მოვიდნენ ყოფილი და ახლანდელი მოსწავლეებიც, მათი მშობლები და შევეცადეთ შეგვექმნა დევნილთათვის შედარებით ნორმალური პირობები.

**— ბატონო შოთა, სახელმწიფო სტრუქტურებიდან მოდის დახმარებები?**

— ყურადღება არ გვაკლია, მაგრამ რეალური დახმარება იგვიანებს. დღეს კვირაა, 17 აგვისტო, და აქამდე მაინც ამ უბნის კეთილი ადამიანების შემოწირულობებით ცხოვრობენ დევნილები. დღეს თითქმის აქ არიან, სახელმწიფო დახმარება კი... იგვიანებს... საშინლად განვიცდი, როცა ვხედავ, ბავშვებს მერხებზე სძინავთ, დიდებს კი — იატაკზე, სხვა საშუალება არ არის.

**— ბავშვი რამდენია დევნილებში?**

— 196 დევნილია დღეს, მათ შორის 5 ფეხმძიმე ქალბატონია, 2 წლამდე ასაკისაა 12 ბავშვი, არასრული ასაკის — 46, ქალი — 83... დაახლოებით 55 ოჯახია. ვიმეორებ, ხალხისგან დახმარება და ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია, პირიქით, არც პატარებს უჭირთ კვება, მოიტანეს ბავშვთა კვების პროდუქტებიც, მაგრამ გვიჭირს საწოლები, ლეიბები. ვთხოვე, გაეკეთებინათ შხაპი, მოგეხსენებათ, როგორ ცხელა, შემპირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით... აქვე მდებარე „სილამაზის სალონიდან“ მოვიდნენ სპეციალურად ბავშვები და ქალები სათითაოდ მიიწვიეს იქ დასაბანად, მეშინია ინფექციამ არ იფეთქოს, მოსახლეობას მოაქვს ცხელი და ცივი საჭმელიც, მაგრამ 200 ადამიანის მომსახურება მაინც ძნელია, ამიტომ ვითხოვთ დახმარებას, მე მგონი დოლიძის ქუჩამდე არც ისე შორია...

გუშინ შემპირდნენ, რომ გახსნიდნენ ჯანმრთელობის პუნქტს, იქნებოდა ექიმი, მოიტანდნენ წამლებს... დღეს ველოდებით, ექიმი ბევრს სჭირდება, „თიბისი ბანკის“ თანამშრომლებმა მოიტანეს ჰიგიენური პაკეტები, პამპერსები, მედიკამენტები, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის.

— გუშინ ორი ახალგაზრდა მოვიდა, ამ უბნელები ვართო, გვითხრეს, მოგვეცით რაიმე ოთახი, ან დარბაზი, ჩვენ მოვიტანთ კინოდანადგარს და ბავშვებს გავართობთო. მოსახლეობა მათ გართობაზეც კი ზრუნავს, გართობა ცოტა მეტია, მაგრამ ელემენტარულად უნდათ დაეხმარონ, რომ დათრგუნვილად არ იგრძნონ ბავშვებმა თავი, რას ვიზამთ, ომი ომია და თავის კლანჭებს აჩენს...

სკოლის შესასვლელთან და შიგნით, ჰოლში, დევნილები ჯგუფჯგუფად დგანან, ერთობ უხერხულ გარემოში უხდებათ ამ დღეების გატარება, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ არ წუწუნებენ, ყველას გათავისებული აქვს, რომ ეს ომია, სამამულო ომი და ყველა გაჭირვებას ღირსეულად უნდა შეხვდნენ. ღირსება და თავმოყვარეობა კი აქ თავმოყრილ ადამიანებს ნამდვილად არ აკლიათ, ეს არის მხოლოდ, შინ დარჩენილ თავიანთ ახლობლებზე ფიქრობენ დღედაღამ, მათი დარდი აქვთ, ზოგი ქმარსა და შვილს ეძებს, ამბავს კითხულობს, ვინმეს ხომ არ შეხვედრიათ, ზოგს მეზობლის, ან მეგობრის ამბავი აწუხებს, ცოცხალი არიან თუ არა, ხმას ვერ აწვდენენ.

მე შევეცადე მაქსიმალურად შემეკავებინა ჩემში დაგროვილი ემოციები და ზოგიერთ მათგანს შეძლებისდაგვარად გავესაუბრებოდი:

**დოიჯაშვილი ირა, ნიქოზიდან დევნილი:** — 9 აგვისტოს შუაღამით გამოვალწიეთ სოფლიდან, მეუღლე იქ დარჩა, სახლს ვერ მივატოვებო, არ ვიცი, ცოცხალია თუ არა, ვერავინ ვნახე მისი მნახველი, რუსებს არ დავუტოვებ ჩემს სახლ-კარს საჯიჯგნადო, გვითხრა, და ჩვენ გამოგვაპარა.

**— პირდაპირ თბილისში წამოხვედით?**

— მე არა, გორში ვიყავი ქალიშვილთან მისული, გავიგეთ გორი დაიბომბაო და წამოვედი, მათი ამბავი რომ გამეგო, მერე უკან ვეღარ დავბრუნდი, ყველგან ტანკები და რუსები იდგნენ და იძულებული გავხდი, სხვებთან ერთად მეც წამოვსულიყავი, თორემ მეუღლეს არ მივატოვებდი... არც ის ვიცი, სახლი გადარჩა თუ არა, ამბობენ მთელი სოფელი გადაწვესო...

**— ძნელი პირობებია, გიჭირთ ალბათ...**

— რას ამბობთ, გენაცვალე, აქ ისეთი სკოლის დირექტორი შეგვხვდა, უკეთესს ვერც ვინატრებდით, უსაზღვრო გულისხმიერება გამოიჩინა ჩვენს მიმართ, მასთან ერთად არიან ამ სკოლის პედაგოგებიც, რაც შეუძლიათ, ყველაფერს გვიკეთებენ, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

**დოიჯაშვილი ქეთი, ნიქოზიდან დევნილი,** ხელში 2 წლამდე გოგონა უჭირავს:

**— ქეთი, მეუღლეც აქ არის?**

— არა, მეუღლე ბორჯომში სამუშაოდ იყო წასული, ის იქ ჩარჩა, ჩვენ კი იძულებული გავხდით, წამოვსულიყავით.

**— პატარის მოვლა ამ პირობებში გიჭირთ, ალბათ.**

— კი, მიჭირს, მაგრამ ჩვენი გაჭირვება რა მოსატანია, როცა ადამიანები დაიღუპნენ, ამბობენ, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც, უამრავი ადამიანი დახვრიტეს, ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რის წაღებაც ვერ მოახერხესო...



ისინი ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ მოინახულა და მოიტანა სპეციალურად მათთვის შეძენილი უამრავი ჭურჭელი — ქვაბები, თეფშები, ჭიქები... ერთი კაცი მოვიდა, რომ ვკითხეთ, ვინ ხარო, კობა სუბელიანის მეგობარი ვარო, თქვა და 200 პური ერთბაშად მოიტანა, მოვიდნენ ამ უბანში არსებული ჩინურ რესტორან „დრაკონის“, სილამაზის სალონის, „თიბისი ბანკის“ წარმომადგენლები, რიგითი ადამიანები, გვპირდებიან, რომ ყველაფერს მოიტანენ...

ჯერჯერობით არ გვაქვს არც ერთი საწოლი, არ გვქონდა ლეიბები. ჩვენს მეზობლად, პეკინის ქ. 2-ში მცხოვრებმა ადამიანებმა შეკრიბეს ფული, წავიდნენ ლილოში და მოუტანეს 15 ლეიბი, ამდენივე თეთრეული, ჭურჭელი, სარეცხი საშუალებები და სხვა.

ენა ვის მოუბრუნდება საიმისოდ, რომ ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ აუგი თქვას, მათ დღეს მართლაც ბევრი საქმე აქვთ, მაგრამ შევახსენებთ, რომ აქ, 61-ე სკოლაში 200-მდე დევნილია თავშეფარებული, უკვე 10 დღეა

იხ. 12 გვ.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2008 წლის 7 ივლისის №1-3/337 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარეობს შპს „ხანდაზმულთა და ინვალიდთა თავშესაფარ „წყალწითელას“, შპს „ბავშვთა სანატორიუმ „გაზაფხულის“, შპს „ძევრის ინვალიდთა სახლის“, შპს „კასპის ინვალიდ ბავშვთა პანსიონატის“, შპს „ცერებრული დამბლით დაავადებულ ინვალიდ ბავშვთა პანსიონატ „ტონუსის“ და სს „ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ შერწყმა და მათ ბაზაზე შპს „ჩვილ ბავშვთა სახლის“ შექმნა, რომელიც წარმოადგენს ზემოაღნიშნული საზოგადოებების უფლებამონაცვლეს.

შპს „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ დირექტორი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჭელიძე და პარტნიორები“ აცხადებს რეორგანიზაციას (სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოების გარდაქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებადძ. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფასანაურის ქ. №17/11.
ტელ: 822 227-247.

ხელოვნება

# შალვა აბესაძე



შენმა სიკვდილმა გული მომიკლა. ტირის „კელაპტარი“. ტირის, იწვის და არასოდეს ჩაქრება. ტირიან შენი მეგობრები — ვანო, არჩილი, გიორგი, დიმიტრი, ნიკა, სოსო, საბა, ილია, ვახტანგი, მიხეილი, კოკი, ლუკა. შენი დაკარგვით კიდევ ერთი ერისკაცი მოაკლდა მომავალ საქართველოს. იმ საქართველოს, რომელსაც ასე გასაოცარი მგზნებარებით უმღეროდა შენი ბავშვური სიწრფელით ანთებული გული. რა დამავიწყებს შენს გაბრწყინებულ თვალებს, შენს ხავერდოვან ხმას — ნახვამდის ნუკრი მასწავლებელო. მე კი — სამუდამოდ გემშვიდობები — ჩემო შალვა, ჩემო უმცროსო მეგობარო, ჩემო კარგო კაცო. მე არასოდეს დამავიწყდები, მაგრამ რით ვანუგეშო შენი მშობლები — ქალბატონი ქეთევანი და ბატონი ბადრი, შენი მოსიყვარულე ძმები...

ვინ გაამხნევოს შენი ნიჭიერებით მოხიბლული უამრავი მსმენელი და მაყურებელი.

ვინღა აამღეროს სევდით დადუმებული შენი სალამური...

ნუკრი კელაპტრიშვილი,
თბილისის 24-ე საჯარო სკოლა,
ანსამბლი „კელაპტარი“.

# ნორა ყიფიანი



სცენის ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ნორა ყიფიანი. მთელი მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება სოხუმის თეატრთანაა დაკავშირებული. ამ თეატრის სცენაზე შექმნა მან მრავალი საინტერესო სცენური სახე, რომელთა შორის აღსანიშნავია — სპინოზა კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ვეროჩკა დ.ლევინის „სიმღერა ქალზე“, „ლუბა შევცოვა“ ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ჰერო უ.შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“, საშა ა. ჩეხოვის „ივანოვი“, ვარვარა კარპოვნა კ.ბუაჩიძის „ეზოგი ავი ძაღლია“, კოკას დედა ნ.დუმბაძის „ჰელადოს“, ინგა ჰ.იბსენის „ბრძოლა ტახტისთვის“, მარია ხოსეფა ფ. გარსია ლორკას „ბერნარდ ალბას სახლი“ და მრავალი სხვა.

რეჟისორი გიორგი ქავთარაძე ნორა ყიფიანს სოხუმის ქართული თეატრის სინდისის სიმბოლოს უწოდებს. ეს მართლაც ასეა. არაჩვეულებრივი მსახიობი და შესანიშნავი პიროვნება — ნორა ყიფიანი — მუდამ პატიოსნების განსახიერება და მაღალი რანგის პროფესიონალი იყო. აფხაზეთის ომმა დიდი უბედურება მოუტანა მას, ამ სისხლიანმა კონფლიქტმა შეიწირა მისი შვილის სიცოცხლე, თვით ქალბატონი ნორა კი აფხაზმა ბოევიკებმა მეოთხე სართულიდან გადმოაგდეს. იგი სასწაულებრივად გადარჩა. რამდენიმე წლის შემდეგ კი დაკარგა უსაყვარლესი მეუღლე, შესანიშნავი მსახიობი ვიქტორ ნინიძე. საოცარია, როგორ შეძლო ამ დიდებულმა ქალბატონმა უზარმაზარი სასიცოცხლო, სულიერი ძალის, ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და იუმორის უშრეტი გრძნობის შენარჩუნება ამდენი ტანჯვის გადატანის შემდეგ. იგი ყოველთვის საზოგადოების სული და გული იყო, არასოდეს გაგრძნობინებდა თავის ტრაგედიას. უფრო მეტიც, სულ ცდილობდა გაემხიარულებინა, გაემხნევებინა გარშემო მყოფნი.

ნორა ყიფიანის ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია სოხუმის თეატრისათვის როგორც შემოქმედებითი, ასევე პიროვნული, ადამიანური თვალსაზრისით.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის
სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „თბილისის“ თანამშრომელი

ეთერ ჩოხელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



და ქეთინო, ძმა თემურ ღლონტები, სიძე თამაზ ხომასურიძე, რძალი მაია ქემაშვილი, დისწულები თამუნა, ირაკლი ხომასურიძეები, ლაშა, ანა ღლონტები, მამიდები ირინა, ლუიზა ღლონტები, ბიძები ლევან დათუკიშვილი, შოთა ღლონტი, მამიდაშვილები ნინო, ბესიკ დათუკიშვილები, გია, ვაჟა შენგელიები, მაია ცხვარიაშვილი ოჯახებით, ბიცოლები ნელი ნინუა, ლიანა ლომინაძე, კაკალა ღლონტი, ბიძაშვილები აკაკი კვერნაძე, ნანა, ნინო, კახა, ნიკა ღლონტები, ახლო ნათესავები, მეზობლები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად და უდროოდ დაიღუპა ყველასათვის საყვარელი პიროვნება

დათო გურამის ძე ღლონტი

დაკრძალვა 19 VIII, 15 სთ. თევდორე მღვდლის ქ.№ 8.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

სულიერება

# ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



**19 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისცვალებას.**

**ფერისცვალება არის „იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ამიტომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულად შერაცხა.**

...იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდება; იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისთვის. უფალმა იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, ბევრი დაჰკარგავდა სასოებას და იმედს საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა.

უფალმა თავის მოწაფეთაგან ამოირჩია პეტრე, იაკობ და იოანე და მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად... მაცხოვარს სურდა, მოციქულთათვის ეჩვენებინა, თავისი ღვთაებრივი ნათელი, ეჩვენებინა იმ ზომით, რა ზომითაც მათ შეეძლოთ ამის დატევა, რათა განსაცდელის შემდეგ (როდესაც მაცხოვარს ჯვარცმულს ნახავდნენ), არ დაბრკოლებულიყვნენ, არ შეშინებოდათ, თანაც დარწმუნებულიყვნენ იმ სიბრძნეში, რომ ვინც სულიერად არ ამაღლდება ის ვერც ღვთაეობრივი დიდების ღირსი გახდება.

თავისი ფერისცვალებით უფალმა გვიჩვენა, თუ როგორ იქნებიან ადამიანები მომავალ ცხოვრებაში, ცათა სასუფეველში, თუ როგორ გადაისახება ჩვენი მიწიერი ყოფა სამომავლოდ.

ფერისცვალების სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე ეკლესია ფსალმუნებითა და განსაკუთრებულ ლოცვასაგალობლებით ადიდებს უფლის ყოვლის შემძლეობას, მის სახიერებას და კაცთმოყვარეობას, რაც ადამიანთა მოდგმის ხსნაში გაცხადდა.

...თაბორის მთაზე იცვალა ფერი იესო ქრისტემ. რატომ წაიყვანა იესომ თაბორზე გამორჩევით მხოლოდ 3 მოწაფე! მიიჩნევენ, რომ სამი მოწაფის გამორჩევით უფალს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ფერისცვალება სამების ნებით მოხდა. ასევე, ამით გაცხადდა ადამიანის ცხოვრების 3 ძირითადი არსი: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. პეტრე მოციქული გამორჩეული იყო სარწმუნოებით, იაკობი – სასოებით, ხოლო იოანე – სიყვარულით.

**გიული ლიპარტია**

**P. S. ...თაბორის მთაზე ლამაზი არა არის რა, მარტო დგას იგი უდაბნოში, ნაზარეთიდან შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით, ათასგვარი ხეებითა და კეთილსურნელებით სავსე ყვავილებით დაფარული, როგორც საკვირველი დასაგები ფეხქვეშ დიდებით ფერშეცვლილი უფლისათვის – სწორედ აი, ამ ადგილას იცვალა სახე უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ.**

ომის ექო თბილისში

# რწმენას მართლაც დიდი ძალა ჰქონია

(მეთერთმეტე გვერდიდან)

**ვაზაგაშვილი ნელი, სოფელ ფლავიდან დევნილი**

– ეს ოხერი რუსები თუ კაზაკები, ქუჩაში ვისაც დაინახავდნენ, ყველას ხვრეტდნენ. იმასაც ამბობდნენ, გოგოებს იტაცებდნენო, ერთბაშად ყველა ხომ ვერ გაიქცეოდა? არავის ინდობდნენ, იყრებოდა ბომბები, ცეცხლს მიჰქონდა სახლები, შენობები, ასე მგონია, რაღაც შავმა ბორბალმა გადაუარა, ჩვენს ლამაზ სოფლებსა და ბაღებს და სულ ერთიანად მოსრა და გაანადგურა ყველაფერი.

**ავაზნელი ბექა, გორის მე-2 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე:** სწორედ ჩვენი სახლის წინ ჩამოვარდა ბომბი, ჩემი დეიდაშვილი, 3 წლის ბავშვი კინაღამ შოკში ჩავარდა, ისე შეეშინდა... ძლივს მოვასწარით გამოქცევა. ჩემი ბიძა გიმერი ბერძენიშვილი გაიტაცეს, დღემდე არ ვიცით, ცოცხალია თუ არა.

**ბეჟანიშვილი ნანა სოფელ საქაშეთიდან გამოქცეულა** – ჩვენ 9 აგვისტოს წამოვედით, ძლივს ჩამოვაღწიეთ თბილისამდე ჩემი და კი 8-ში ჩამოვიდა, მეუღლე იქ დარჩა, დღეს ხმა მივაწვდინე, გადარჩენილა, ასე თქვა – რუსები დღეს უფრო მომრავლდნენო, ყველგან დგანან თურმე, ორღობეებში, ბაღებშიც კი. აწიკებენ და ანგრევენ ყველაფერს, რაც ომს გადაურჩა.

12 წლის ბიჭი მყავს, თავის თვალით ნახა ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. 7-ში ომი დაიწყო თუ არა, სარდაფში ჩავედით, იქ სამი დღე დავყავით, ამოსვლა გვეშინოდა, წამდაუწუმ სკდებოდა ბომბები, ჰაერში დენთისა და ცეცხლის სუნი ტრიალებდა, ჩემი ერთი სიძე სოფელ ვარიანში დარჩა, იქ მოხუცი მშობლები ჰყავს და ვერ მიატოვებდა. გუშინ რუსები შესულან, ეგონათ, რომ მოკლავდნენ, მაგრამ დაუმშვიდებიათ არაფერს გერჩით, ოლონდ წყალი დაგვალევინეთო, დაულევიათ. ჩემს სიძეს თვალები დაუხუჭავს, ოლონდ დედ-მამის სიკვდილს ნუ მაყურებინებთო, უთქვამს, ბოლოს მშვიდობიანად წასულან.



მეზობელი გარდაცვლილა, მოხუცი ქალი და იქვე დაუმარხავთ, სახლთან, ესეც ძლივს მოუხერხებიათ.

ინფორმაცია გვაქვს, სოფელ ვარიანში ბევრი დაუხოცავთ, როგორც კი გზები გაიხსნება, ყველანი წავალთ, ყველა სახლი ხომ არ იქნება დამწვარი, ერთმანეთის სახლებში ვიცხოვრებთ და მტრის ჯინაზე ისევ ავაღორძინებთ ჩვენს სოფლებს.

**– თქვენი ოჯახის სხვა წევრებიც აქ არიან?**

– კი, ყველანი აქ ვართ, ხუთი დედმამიშვილი თავიანთი ოჯახებით, 14 კაცი მიგვიღო დირექტორმა, ბატონმა შოთამ. ასეთი ღვთისნიერი ადამიანი რომ არ შეგვხვედროდა, არ ვიცი, რა იქნებოდა. ადგილი აღარ ჰქონდა, მხოლოდ ერთი საცეკვაო დარბაზი იყო დაკეტილი და ჩვენ მოგვცა, ყველანი ერთად ვართ. ჩემი ორი და ფეხმძიმეა, ბატონმა შოთამ ორი საწოლი ძლივს გვიშოვა, რომ ისინი დაგვეწვინა საწოლზე. იცით, როგორ გავიხარეთ?

მადლობის მეტი რა გვეთქმის თბილისელების და კერძოდ ამ უბნის მაცხოვრებლების, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიმართ, ჩვენ ამ ზრუნვას არასოდეს არ დავივიწყებთ.

ამ დროს სკოლის შემოსასვლელთან ქალი მოდის, აქ პატარის ტირილი მომესმა, სად არის? მიდის დედას ხელში ფულს უტენის. მნიშვნელობა არ აქვს – რამდენია, მთავარი მაინც ადამიანთა სიყვარულია.

მიუხედავად ომისა და ნგრევისა, ომს გამოქცეულნი 61-ე საშუალო სკოლაში ადამიანები რწმენითა და იმედით აღამებენ და ათენებენ. რწმენას კი მართლაც დიდი ძალა ჰქონია.

**ნაზი იმნაიშვილი**

**„EMAC GEORGIA LIMITED“-ის დირექტორთა საბჭოს 2008 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით დახურულად გამოცხადდეს „EMAC GEORGIA LIMITED“-ის ფილიალი საქართველოში (ს/კ 204519850ძ. ვასილ სულხანიშვილი, ფილიალის დირექტორს მიენიჭოს უფლებამოსილება აწარმოოს ფილიალის ფორმალური ლიკვიდაცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ფილიალის ყველა კრედიტორმა მოგვმართოს მისამართზე: რუსთაველის №34, ტელეფონი: 98-23-83“.**

**დირექტორი**
**ვასილ სულხანიშვილი**

**მ/წლის 9 სექტემბერს 17 საათზე გაიმართება სს „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის“ სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების მოხსნის შესახებ.
2. სხვადასხვა საორგანიზაციო და საკადრო საკითხების განხილვა და დამტკიცება.
3. სხვადასხვა.

კრება ჩატარდება მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. №2. საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში. ოთახი №1.

**საზოგადოების დირექცია**

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია



ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ ინტენსიურად მოძრავი ავტომობილების ქალაქში, ინტელექტისა და მეხსიერების კოეფიციენტი აქვთ დაახლოებით 3-4 პუნქტით დაბალი, ვიდრე მათ სხვა თანატოლებს.

ინფორმაცია

## დაღუპული ჟურნალისტები თბილისში დაკრძალეს



საშა კლიმჩუკი

**გუშინ თბილისში, კავკასიის სახლში ოსეთში დაღუპულ ტელეკომპანია „ალანიას“ ჟურნალისტ გიგა ჩიხლაძის და „იტარ-ტასის“ ფოტოკორესპონდენტ ალექსანდრე (საშაძ კლიმჩუკის პანაშვიდი გადაიხადეს.**

**ცხინვალში სადისტურად დახოცილი ჟურნალისტები თბილისში დაკრძალეს.**



გოგა ჩიხლაძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.